ლა ფირცხალავის სამი ჩარექი, სიმონა ფირცხალავის სამი ჩარექი, უნცროსია ჩიმაგაძის სამი ჩარექი, დოპურების ერთი ჩარექი, ადამიას ერთი ჩარექი, დათუნიკა მელაძის ერთი ჩარექი, შტერუვას ორი მელაძის, ევქს ჩარექს სანთელშიდ ორი ქვაბი გამმიგზავნია ნიქთობით, სამოცდა ცხრა ჩარექი სანთელი გამამიგზავნია საწინდრიანათ, მისი ჩარექით აუწონეთ, ვისაც დაკდეს, მანდე შიათავებიერთ, ამ ჩარექის ნაწინი ქვა მანდ დაიტოვე. წინმდღვარს სილიბისტროს ყიფიანი ბუბთია თაყვანის ცემის მოგაბსენებთ და მოყითხვას, თუ ჩემი მამაშეილობა გწმიდეს, რაც გამოგიგზავნე, კარგათ შეინახეთ. დავითე ბერძენშა თაყვანიცემა მოგახსენათ.

31. ნუსა აფხაზეთის საკათალიკოსია იარალების დაკლებისა, 29×13,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალჭედ მჟვალის მხედრულის ხელით. ყოველ სიტყვის შემთხვევა ნაბეჭრია ორ-ორი წერტილი. ნუსა უნდა ეკუთვნოდეს ხელის მიხედვით მე-XVII საუკუნეს.

XVII საუკ. ქ. აკლია საქათალიკოზოს იარალისაგან ორი ოდიკი, ერთი ჩარყაფათ შეკერული პერექელი, ერთი ოქროს ჯაჭვი რუსულს ხატს ბშია, ერთი მურასა ბარტყულა, ჯუარსანთელის ის სულისწმიდის ტრედი არა იქნეს, აკლია ორი კონდაკი, ერთი ვერცხლის ჯუარსანთელი, ერთი ოქროს სქემა, ერთი ხის ჯუარი, ერთი ნახლის სტიხარი, ორი ლილი, ნახლის ბისონს აკლია ორი საბეჭური, ერთი მურასა ხავედის ქამარი, ორი ამბრიანი ოქროს ლილი, სტავრის ბისონს აკლია ერთი ჩარყაფათ შეკერული სამკლავე, ექვსის ოქროს ლილითა, აკლია ერთი ჩარყაფათ შეკერული ოლარი, აკლია ერთი მარგალიტის სამკლავე; მრავალ ჯუარის ბისონზე სამის ლილის მეტი არ არის, ერთი ლილი სარასლის ბისონს აკლია, ერთი შავი ხავერდის მრავალ-ჯუარი ბისონი აკლია, ერთი თეთრის ხარის სტიხარი, არ არის კურთხევანი, არარის აიაზმა და ზეთის კურთხევა, დიდი სჯულის კანონი, არც ხელი, არ არის იოსიპოსი, არ არის სამი საკი-

თხევი, არარის ქართლის-ცხოვრება და დამასკელი, სამოთხე, სახლის იარაღი, არ არის სამი ორხაო, ერთი თაქნაბატი, ერთი ვერცხლის ტაშტი, წურწერა, ერთი ოქრის დოსტაქანი, არ არის ოცი სინი, ერთი სამირონე ფანი, ოთხი ვერცხლის ნალპატი მისის ვერცხლის ბულითა, ერთი დაზარული სკამი, არ არის ძილის ჰირი, აბრეშუმის ხალიჩი.

32. გუჯარი, 27X20 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მეცნი-
ლის მშეფრენლის ხელით. ბოლოში აკლია. ნიშვნებათ იბრაჟება
ორ-ორი და სამ-სამი წერტილები. წიგნი უნდა ეკუთვნოდეს წე-
რის მიხედვით მე-XVII საუკუნის.

XVII საუკ. ქ. ბატონისავან ლალიძეა სასახლე და ზემოდ
რიონის პირი წყალიძეა პიტკინტევისა რთის შოთარის საკათა-
ლიკოზე რომ შეწირული რომ არის და იმის სიგველში ასრუ
სწერია: ყოველსა წელიწადსა ყოველად წმიდის მიცვალების, მა-
რიობის დღესა, ლალიძეს სასახლეში მოიტანდენ ხალაპოს,
გლოხავსა შშიერსა, ვინც მოვიდეს, აქმევდენ. ორმან მოყრ-
დელმან და ერთმან მთავარმან სასახლის ლალიძეს ეკლესიაში
ემ სწიროს, საწირავი და ანუ აღაპეში გასაცემელი მარილი და
ანუ სააღაპო, ვის მართებს, კველა სიგველშიდან დამიწერია, ის-
რე იქმოდენ, ბატონისა და ქათალიკოზისა სასახლის მოხელე
და ზედამდევი და გამრივე კაცები და ასრუ გაარიგებდეს, რო-
გორცა გამიჩნია, კიდევ როგორც ლალიძეს ზ...რე რიონის
პირს წყალიძეს, ქათალიკოზის სასახლეში გამიჩნია თე. . .
..... დამიწერია.

33. ნუსა, ვეონებ, ბიჭეინტის მონასტრისა, 42X15 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზედ მცენალი მშეღერულის ხელით. ნიშნებათ ნიშანით სამ-სამი წერტილია. თავი აკლია. წერის მიხედვით ნუსა უნდა იყოს შედგენილი მე-XVII საუკუნეში.

XVII საუკ... ორის მესამე ომფორის იარალი, ერთი ჩარგა-
ფათ შეკერული საბექტური მწვანე ხაველისა, ერთი ჩარგაფათ

შეკერული სტიხარი, ერთი ჩარყაფად შეკერული სამკლავე ექვსი ოქტოს ღილით, ერთი ჩარყაფათ შეკერული ოლარი, ერთი ოქტოს მუშაბახის ღილითა და მეორე გატეხილის ღილითა, ერთი აბრეშუმის მომარგალიტული ქაშარი, ერთი მძიმედ ჩარყაფით შეკერული მოთვალ-მომარგალიტული ენქერი ერთი დიდის ოქტოს ღილითა, ერთი ბისონი ჩარყაფათ შეკერული, საყელო მომარგალიტული ექვს ცხრის ბრტყელის ღილებითა, ყირმიზი იაგუნდი და ნიშაური ფეროზა უზის, სხვა თვალი არა, სამის ოქტოს ღილითა და ორის ვეცხლის ღილითა; ერთი ძველი ომფორი ჩარყაფათ შეკერული მძიმედ მოთვალ-მომარგალიტული ორის დიდის ოქტოს მუშაბახის ღილითა და მესამეს მომცრითა მისის სკივრითა და კლიტითა და ვარ-ბუდითა; მეორხე ომფორის იათაღი არის ერთი ოქტოქსოილის თეთრის ხარის სტიხარი, ოლარი სარის-რისა, მაცხოვრის სხვე ექვსი მუშაბახის ვეცხლის ღილითა; ერთი ქაშარი მურასა ოც ოც და ერთის ბალიათოა და წინ შესაკრავი სხვა, ერთი საჩასრის მრავალჯვარი სამკლავე ექვსის მუშაბახის ვეცხლის ღილითა და სამკლავესა ორისავ ხელისა-ს მარგალიტის ჯვარები აკერია, ერთი სიის ხვედის ბისონი მრავალჯვარი, საყელო მომარგალიტული ექვს ცამეტის მურა-სას ამბრიანის ღილებითა, ერთი მუშაბახის კიდევ ღილითა, მე-ორე გატეხილია; ერთი ჩარყაფათ შეკერული ომფორი ორი ოქტოს მურასას ღილითა; არის ერთი საჩასრის ბისონი რეა საიას ოქტოს ღილებითა, თავზედან თვითო თვალი ექვს, მეორე ბისონი ნახლისა აშია და საყელო ჩარყაფისა ექვს.

34. ფიცის წიგნი, 26X11,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდ-ზე დამზის ნუსა სუსურის ხელით. ნიშნებათ რამოდენიმე სი-ტყვების შემდევ იმპარება თითო წერტილი. თავი აკლია. თარიღი არა აქვს. წერილი უნდა კუთხოვნილებ, ჩვენის აზრით, მე-XVII საუკუნეს.

XVII საუკ. . . ებმნშომშ . . . და იქსე. . . . მ პაატამ ფან- ნულიძემ და დიაკონმა გიორგი მასხარაშვილმა ესე წიგნი მო-

გეცით ჩვენს მოძღვარს ასე და ამა პირსა ზა, რომ ჩვენის სახლის კაცისაგან გაყიდული ქცი მოვიდა სტამბოლითვან აზად ნაქმარი. მერმე ჩინ შემოგეხვეწეო, რომ ესე კაცი ჩვენ გვაყმეთ, მერმე მე თქნ მაღამდის ვერ გენდევ, სადამდის ესე წიგნი არ მომეტით და იმ კუს მირონი არ სცხეთ. მერე მოციქულათ ჩამოვიდით და გამსახურეთ და გლეხშიც ჩაყენეთ, ქრისტიც მოგართვა, როგორც გლო შეგიჯერდებოდა, და სხვა საფიცარი მასაც მივეცით გლეხის, მაგრამ ეს საფიცარი შენ მოგეცით, ჩინო მოძღვარო, ექსმა ბატონ-ყმანმა, რაც ამ გიორგი კლიკაშვილს შენის პირით მივეცით, ის ჩინ არ ვიმტყუნოთ, ამისად თავდებად მომიცემია თავად ტი, შედ წის მშობლი, და შენი მ-თნი წინი. და მერმე ეს სიტყვა მომიცემია, ჩემო მოძღვარო, ადამ და ევა ტნ შექმნა, მას იქეთ რაც ცოდეა იქმნა, მას დაესაჯოს, რა-მაც ძემზნ ჭირიამზნ ეს შინ შევიშალოს, მასამც ნუ ეღირსე-ბა ზიარება და ნუმცა ნაკურთხი მიწა, მერმე კელმწიფეტ და რჯალის თავმან მისად სიკუდილად და ლალატად გვეითხონ, თუ ჩვენ ეს საფიცარი შევიშალოთ, გნებოხვის დღეს პირშა-ვათამც შევეყრებით ჩვენს შეუფეხს.

35.

სიგველი, 36X16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალზე რვე-ლის მშეღრულის ხელით. ნიშნებათ იბმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემთხვე. თავი და ბოლო აკლია. სიგველი უნდა ეკუთხოდეს მე-ХVIII საუკუნის პირელ ნახევარს. ამ ტრის ცხოვრობდა ლუკან აბაშიძე. უკანასკნელი სიტყვები უღდეს და-დიანი და ერისთავი⁴, უჩვენებს, ჩვენის აზრით, ზავის ყოფის ბე-გრძ დაღიანის და რაჭის ერისთავის შირის, (იხ. ქართლის ქოვ. ტ. II, გვ. 201).

მე-ХVIII საუკა...[უს]ხეულოსა და შეუსწავებელისა [შე]ფობისა, ყოვლისა მოქმედად მყოფისა თვისებისა სახელთასა, განუსაკუთრებლისა ღთისა მამისა, საუკუნითვან საუკუნორებით მეორედ გვამოვ-ნებად იგივეობისა შინა ბუნებისასა, თანა არსად და თანა მოსაყდ-რედ ერთ ნება მოქმედებით შობლისა ძისა, უკანასკნელ მოწევნად

სავსებასა უამთასა დასაბიმითაგანისა, განზრახეისა საიდუმლოსა ქპინისაოვის დაძველებულობასა ბუნებისასა, ახლა თბედ წარმონენად თეინიერ ნიკოსა რასამე და თესლისა და კეშმარიტად ქალწულებისა ბეჭედითა შად შობისა უნებდ და მარხვიოლა დატევნისა, მსგავსებისამებრ ჩვენისა აღსრულებითა ჩრდილ ქმილისა და მეყსეულად ვითა ტითისა მჩვენებლისა ქალწულებრივთა ძუძუთა, ზეშთა ბუნებისა სძედ მცენარედ და მოსწრავებითა მიმდემად, გრკონვითა ძუძუთა მიმართ წოვნად, შვერიერობით მტრილად, სჯულისაებრ ყოფადისა ბუნებისა უცვალებლად, მსგავსებითა ჩვენითა სიტყვისა ტითისა მშობელო, ჭი ასულო შვენიერო, ყოველთა ტომთა და თესლებთა შორის საყდრად მაღლისა ვამორჩელო, იოვაკიმ მხუვანებისა ნაყოფო, სიტყბოებით აღსავსეო ანნის მორჩიო, რტო გარდაფენილო იქსეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, სემის დასაბამიო, ნოეს სულისა დაულპოლეველო სამოსელო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო დედოფალო, შედ წმიდაო ბიჭვინტისა ტითის მშობელო მარიამ, ჩვენ ცვა ფარვათა თქვენთა მონდობილმან და მსახურებელმან აბაშიძემან ლევან, ოდეს დადიანი და ერისთავი...ო....

36.

გუჯარი, $32 \times 14,5$ სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე რგვალის მშედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემცვევ ნამდევილში უზის სამ-სამი წერტილი. ქორონიკონი ამ გუჯარისა სიტყვებით და გარევევით დაწერილი უდრის 1471 წ. მაგრამ იქვე მოყვანილი ფრაზა: „მეუბობასა დიღისა ალექსანდრესა“ გვიჩვენებს, რომ გუჯარი დაწერილია ალექსანდრე მეფის დროს (1413—1442). ხოლო 1471 წ. მეტეთ იყო კოსტანტინე და არა ალექსანდრე. ჩვენის მოსახურებით ქორონიკონში შეკოორმა უნდა იყოს და უს თრმოცვა ცხრას“ მაგირ უნდა იყოს ნაჩვენები ას თცვა ცხრა, ქორონიკონი, რომელიც უდრის 1441 წ. ეს და ამის ქვემოთ მოყვანილი 215 სიკელ გუჯარი გადმოუწერეთ ჩვენ თ. დ. ზ. ბარათაშვილის ნამდვილებიდან 1898 წ. აღმულალში.

1441. ანკრას 17. სახელითა ტითისათა, მაშისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოველად წმიდისა დედოფლისა

ჩუენისა ლითისმშობელისა, მარიალის ქალწულის მარიამისითა, ძლიარებითა (sic) ცხოველს მყაფლისა პატიოსნისა ჯუარისათა, ოხითა და შეწენითა წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა, ამა ყოველთა წმიდათა თავსდებობითა, შუამდგომელობითა, ესე წიგნი დაგიწერე და გიბოძეთ მე ბატონმან ბართამან (sic), მეუღლემან ჩუენმან თინათინ, შეილთა ჩუენთა დაფით და გერმანოზ, შენ ჩუნსა (sic) ერდგულსა ყმასა ბუელულაშვილსა თვედორეს და ნავროზს, მამაელთა (sic) შენთა, მოგეცით ნაქურდევი მისითა მშრალითა, თეოტობთა იქათითა და მისითა სახოვითა დიდსა წლებსა ქუეთი, ურასხადსა ქუეშეთით უძებრითა და საძებრითა, ყოვლითა მისითა მთითა და ბარითა, ყოვლათა (sic) არა შეგეცალოს. ვინცა შეგიცვალოს, რის-ხავსმეტა ლითი, მამა, ძე და სული წმიდა, ყოველი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისა და ქუყანისანი, დამამტკიცებელი ლიმინ აკურთხნეს, ამინ. დაიწერა იანვარსა ათ-ჩუილმეტსა, ქრინიკონ-სა ას ორმოც-და-ცხრისა, მეფობისა დიდისა ალექსანდრესა.

37. წყალობის წიგნი, 39×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდ-ზედ რევალის მშეღრულის ხელით. მეორე გვერდზე მოყვანილია ასასელი ტექსტი ბეჭედის დასტიტ. ნიშნებად ნახმარია ლა-ორი წვრტილი.

1583, გათარგობასთვის 20. წყალობითა ლითისათა.

ქ. ჩუენ ლითი გვრგვინოსანშა მეფეთ მეფეთა სვიმეონ*

ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბო-ძეთ თქუენ ბართაშვილს იოვანეს მას ქამსა, ოდეს მოგვდევით კარსა და მამულისა ყლობისა (ესე იგი წყალობასა) გვაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ მოდაგს სა-მართლიანი თქუენი კერძი მამული შენი და ოკერი მისისა მთითა, ბარითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, საკა-ვითა და უკნავითა და სამართლიანისა მისის სამძლვრითა, მთითა

*) აქმილიდე კონკარით არის ნაწერი. სხვა დაწერილია შევის შელწილი.

ვიდრე პარამდი თქუენოვს გვბოძებია. გქონდეს და გიბელნიეროს ტომან ჩუენია ერთგულიად სამსხურსა (სამსახურსა) შიგან. აწე გბზთ აღვეთის პირის ტარულანო, მელიქნო და სხვანო მოსაქმენო, კარისა ჩუენისაგან ჭარვლენილნო, ვინგინდა ვინ იქუნეთ, მერმე ესე ჩუენგან ნაწყალობე (sic) მამული თქუენტა ასრე ვაგუთავეთ (sic), რა რიგაღლე ამ ფარვანაში ეწეროს, ნურას შეშელით (sic) და ნურტა რას შეცლებით. დაიწერა ნიშანი და ბძანება ესე ქვეს „სოა“, გორგობისთვეს კ, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა რევიშეილის ზოლყიყარისათა. სეიმონ (ზელართულად).

38. წყალობის წიგნი, დაწერილია ქალალზე რგვალის მშედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილია ნაშანი.

1648. დვინობისთვის 1. ქ. ნებითა და შეწევნითა ტომა ჩუენ ტოივ გვრგვნოსანმან მეფეთ მეფემან, კელმწიდემან პატრონმან როსტომ, და თანა მეტელრემან ჩუენმან დელოფალთ დელოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომიან და სასურელმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ვახტანგ, ესე გარდაწყუდტილობისა და წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენთა ერთგულთა და წესისებრივ მრავალ გუარად თავდადებით ნამსხურსა ყმასა ბარითაშვლს ყლიჯ-ყორჩის პა-ვიუნასა, ქათოსროს და თქვენთა შვლთა, მას ეამსა ოდეს თქუენი და საკაძის ზურაბისათვს ნახსენები იყო და საყენოდ ჩამოვიყუანეთ, ამისთვის რომე ჩუენზედ მრავალი ავი საქმე მოინდომეს და ღალატში გერივნეს, საყენოდ სხუა ძმა გამოვართვთ და ეითაც ჩუენის ორგულისა და ღალატში გარეულის სააკაძის ნახსენები იყო, იმას წავირთვთ და ჩუენგან გაზღილს მაჩიბელს ქუაბულს შევრთვეთ, ამ საქმითა რომე დღეს და დღეის უკან საკაძის ნათესავთა და სახლის კაცთა კელი იღარა ჰქონდეს, და ვერტავინ უსაყუდუროს ეს ჩუენგან გარიგებული და გარდაწყუდტილი საქმე. აწე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ ვეზირნო წყუდტილი.

და სხუანო მოსაქენო და წინამდევნო, თქუენტა ასრე გაუთავეთ და ნურა კორც შესხმული კაცი ამის საქმეში ნუ გაერევოთ, რომე ჩუენგან გარიგებული საქმე არის. ვინცა და რამანტა კაცმან ამის საქმეში გარევა მოინომოს (sic), თავადამც რისაბეჭდის დაუსაბამო ღოთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი. დაიწერა ბძონება და ნიშანი ქვე „ტლვ“, ღვნობისთვის ა. როსტომ (შელჩართველად).

39. წყალობის წიგნი, დაწერილია ქალალზედ რგვალის მხედრელის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნაბარია სამ-ხამი წერტილი. თავში მიუძღვის სახასული წარწერა და ბეჭედი.

1655, თამბთვის 26. ქ. ნებითა და შეწევნითა ღოთისათა წუენ ღოთი გვრგვნოსანმან და ორისავე საბატონოს მწყრობელ მქონებელმან, კელმწიფემან პატრიონმან როსტომ, და თანა შეცხდრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან პატრიონმან მარიამ, ესე უკუნისამდე ეამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენთა ქრისტულთა და წყალისებრივ მრავალ ფერად თავდაცებით ნამსხურთა ყმათა პარათაშეიღლს ჩუენს ყლიჯ-ყორჩის პაპუნასა, შეიღლთა შენთა და ოსიტასა*), მას კაშია ოდეს მოგვდევით კარსა და თქუენს სამკულორის მამა-პაპათ ნაქონს არეშიშეიღლს ჩალაბასა და სოლალის გვაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მათის სამართლიონის მამულითა, რისაც მეონებელნი იყვნენ ყოველითურთ თქუენთვეს და თქუენთა შეიღლთათვეს გვბოძებით. გქონდეს და გიბედნიერის ღოთ ჩუენსა ერთგულად სამსახურის შინა და აროდეს არ მოგეშეღლოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა შეფერა და მეპატრიონეთაგან, ამე გიბრძანებთ კარისა ჩუენისავექილ ვეზირნო და სხუანო მოსაქენო, ვინცავინ იქუნეთ და ანუ დღეს წალმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნუროდეს ნუ

* ქ სიტყვა ერთაც უშემდეგ „კოსიტასა“-დ გამოყენებისა, მაგრამ ქ გადაფიქტა აშერთვა დრუასა ჩელამიაც და ხელსაც.

მოუშლით და შეცილებით თვინიერ შეწევნისა და თანადგომი-საგან ვიდრე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქქსა „ტმზ“, თიბა-თქს კვ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან მწიგნობრის თუმანი-შეილის ბირთველისათა. როსტომ (ხელჩართვულად).

40. ნასყიდობის წერილი, დაწერილია ქალალდჟე ნუსა მშეღრულის ხელით, ნიშნებათ ნაჩმარია ორ-ორი წერტილი. სიტყვები, რაც სავანს არ შექმნა, ჩვენ განვებ გამოვტოვთ.

1656 ფეხერედის 1. ჩვენ გოსტაშაბისშეილმან პაპუნაშან გიბოძეთ ალავერდაული ვენაბი ყმასა რამიშა და პაპუნაშა... დაიწერა ესე მტყაცე ქქს ტმზ, ფეხერვალსა ა.

41. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდჟე მშეღრულის ხელით. ნიშნებად ნაჩმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი ჩვენ განვებ გამოვტოვთ.

1659, 15 აპრილი. ქ. ...ესე... ნასყიდობის წიგნი და პირი მო-
გეცით ჩვენ ბარათაშეილმა პატრიონმა ოთარმა და პატაშა (პაატა-
მა) და ვარჩაშა შენ ბარათაშეილს პაპუნაშა და გოსტაშაბს (უა-
ნასკნელი სიტყვა ზემოდამ აწერია წაშლილ სიტყვას), შეილთა და მო-
მალთა სახლისა თქენისათა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე
ტბის გამანაურის მამულის ურწყავის შემოგვევაჭრენით და
ჩვენც ავილეთ და მოვართეთ რასაც ჩეკურას ვენაკი შემოი-
ტანს ზედათ ზარამდი, ურდულაძის მამულის სამძლევრამდი და
ასანბეგისშეილის მამულის სამძლევირამდი... არიან ამისი დამ-
ხდომით და მოწამენი: ფარსადანის (ფრსადანის?) შეილი საჩინო,
გარეყანიერ გურგენ, ჭილაშეილი ბევრან, ჩვენი უმანი ჯერაშეი-
ლი ღანბარი, ფრემაშეილი ებალა. მე არსენს დამიწერით და
მოწამეცვარ. დაიწერა წიგნი ესე ქქს ტმზ + □ □ □ ნა-
ხევარსა აპრილსა გასულსა. (უანასკნელი ფრსა სხვა ხელით და
მელნით სწერია. ერთს ბეჭედს სპარსული წარწერა აქვს).

42. ნახყდობის წიგნი, დაწერილია კალალზე ნუბა მხედრულის ხელით. შესავალი და ბოლოს წეველა გაწევებ გამოვტოვეთ.

1661, მაასას 27. ...ნახყდობის წიგნი მოგართვით ჩვენ ბუქ-ლულა შეიღმა ბერძუამ და შეიღმან ჩემა სეხნიამ და იასემ ბატონის პაპუნას [და მასა თქვენსა ქახოსტონს] *) და შეიღოს შეიღოთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე... მოგყიდეთ ჩვენი მამული აღგეთხე თქვენს წისქვილთან... მოწმენი: ჩემი ბატონი თაყა, მისი ძმა დურმიშანი, და მათი ბიძაშეიღო იმრამ, ჩემი განა-ყოფი ოტია, დემეტრია და პაპია, ბატონის ჩემის მსახური მალ-რიბას შეიღო გიორგი, და ერთობით მისი ყმანი. თვითონ მე ყორდან შეიღოს შეველის დაზიერისა და მოწამეუა ვარ. დაიწე-რი და ქვემა ტმო, მას კზ. □ +.

43. წყალობის წიგნი, დაწერილია კალალზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ის-ისრი წერტილი. შესავალი და ბოლოს წეველა აქაც გამოვტოვეთ.

1662, თბილის 27. ქ...ჩვენ მეუეთ მეუემან პატრონმან პანაგაზ ესე საკილობლის წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერდეგულთა ყმათა ბარათა შეიღოს გოშტაშები შეიღოს პაპუ-ნასა და ძმათა თქვენთა...**) საჩინო შეიღებს თაყასა, ძმასა თქვენ-თა ასლამაზსა, ბიძაშეიღოთა თქვენთა გიორგის და საჩინოს, ასრე რომე თქვენი განაყოფები ნახოთლარს კოხნარს გეციდე-ბოდენ და მოკითხული ვქენით, მოწმებმან ც ბარათა შეიღებმან ც გიმოწმეს და ძევლი ას ოც და ერთის წლის წიგნიც გქონდა, ჩვენ ც შევიწყალეთ და გებოძეთ, წიგნითა ამითა გაგიახლეთ ნახოთლარი კოხნარი... დაიწერა... ქვემა ტნ, თბილის კზ, ინ-დიკილონსა (სიც) მეფობისა ჩვენისა მეოთხესა, კელითა კარის ჩვენისა მდივნის ფირალისათა. შავნავაზ (ხელჩართულათ).

*) უკანის წეველი სამი სიტყვა ვერმე წარმოით.

**) ეს სამი სიტყვა და ერთიც კალკ მერმე წამლილია ძალით.

44. გაცელის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნაბმარია ორ-ორი წერტილი. შესავალი და წეველა გამოვტოვეთ.

1671, ოქტომბერის 12... მოგეცით ესე წიგნი ჩვენ გოსტა-შაბის შეილმა პაპუნამ და შეილმა ჩვენმა გოსტაშაბ, ყაფარბეგ, ნიკოლოზ და თამაზ, თქვენ ასანბეგის შეილს თაყას, ასლამაზეს, და შეილთა თქვენთა გიორგის, ასლანს და იოსებს ასე და ამა პირსა ზედა, რომე მოგიცემულეთ ენაგეთს ჯანიკალები სამი კომლი მისის მამულითა... პაპას გოსტაშა ხუთი დღის მიწა, კიდევ ვალი გემართათ და ცამეტი თუმანი თეთრი მოგეცით... და ამისი სანუქეფი გამოვართვი ტბისშა (ტბისში) რისაც მქონებელი იყავ... მოწმენი: მეჯინიბეთ ხუცესი პატა, მისი ძმა ოთარი, სულხან ბარათას შეილი, მისი ძმა იონათამ, რევაზის-შეილი შერმაზან, თამაზის შეილი იყსე და დათუნა, აბადარბაზი გიორგი, ჩვენი უმები არეშის შეილი ფრიდონა და გურგენა, ჩიტია შეილები მახარა და იმისი შეილები. მე მოლარე ბევანს დამიწერია და მოწამეც ვარ, ქვეს ტნთ, თებერვლის თორმეტსა [].

45. ნახულობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. შესავალი განკვებ გამოვტოვეთ. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

1672, აპრილის 3.... მოგყილენ ჩვენ ჯოეშეილებში ბე-სალამან, პაპამან, ქიტიამან და გურგენამ ჩვენს პატუნაბეგს ბერის ვენაზი. აფილეთ ფასი ოცდა-ათი მარჩილი თე-თრი, რისაც ჩვენი გული შესჯერდა, არის ამისი მოწამე რატის-შეილი ოტია, საღუნა შეილი აბრამ, ბერა ჯოეშეილი, ამზია შეი-ლი დათუნა. მე საბას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი აპრილს სამსა, ქვეს „ტნთ“.

46. ნახყოფობის წიგნი, დაწერილია ქალალდე მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი. რაც საკირო არ იყო, აქ განვეძ ვამოვტოვეთ.

1672. დეინობისთვის 1. ...ესე... წიგნი მოგეცით ჩვენ გულისაშვილი ბასილაშვ, ბერიკაშვ და ამირანაშვან და მამავალთა.... თქვენ ქუბაშვილს ქიტიას და გიოსა (sic)... მოგყიდვე სავენაკე საწნახლითა კახიშვილის ქუემო... მოწამე მამახაშვილი მამუქა, იმბალაშვილი ასლამაზა და ბუჩაშვილი სუთია, და მე ნაღირხანას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაწერია ესე წიგნი ლვინობისთვის დამდევს, ქვე „ტნია“.

47. გაცელის წიგნი, დაწერილია ქალალდე მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი. თავი აკლია.

1673. და ყაველთა უკუნისამდე ეამთა.... ნიმდაგართვით ჩვენ ბარათაშვილმა სამ ძმამმა, შიომშ და ზაქარიაშვილმან ქაიხოსროვ და ზალ ასე და ამინ პირსა ზედან, რომე ტბას თქუენის ზურის გვერდით ჩვენი ვენახიერი იყო და ვითაც თქუენი სამერო იყო ყოველის კაცის უკილებრად მოგიცალეთ, და მოგეცით მის საწნახლითა თქუენ გოსტაშაბიშვილს პაპუნასა, შეილთა თქუენთა გოსტაშაბს, ყაფარბეჭს, თამაშს და ნიკოლოზს, და ავიღეთ ენაგეთს ჩვენის ზურის გვერდით თქუენი ვენაჯი იყო მისის წყაროთა და საწნახლითა, და კილვ ტბას აბულეფანისშვილს პირდაპირ თქუენს წინა ჰალა და საწისქლო, მუხას ქვემოთ, ერთი დღისა არის, მისი მოწამე მეჯინიბერ-უხუცესი პატა და ჩვენ მსახურები: სომეხიშვილი ამირანა, არეშისშვილი გურგენი, კიდე საკაძე ავთანდილ და მე გიორგის ლალაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ, ქვე „ტნია“. +

48. ნაციოდობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება სამ-სიმი წერტილი. თავში და ბოლოში უმინ-შენელო ადგილები გამოვტოვეთ.

1676, ენკენისთვის 5. ...ნაციოდობის წიგნი მოგარიცვი მე ფალანხოსროს შვილმან დურმიშხან თქვენ გოსტაშაბის შვილის პაპუნასა და შვილსა თქვენსა გოსტაშაბს, თმაზს, ყაფარბეგს და ნიკოლოზს; მოგყიდე ტუსიაშვილი პაპუნა და სიყმის მისის მამულითა, ყოვლის მისის უნაკლოდ მამულითა, ტბის ჩემი ხოდაბუნი, ფორქადში და ანდრიას ჩემი კერძი ნახევარი საფიჩულე, და თქვენ მომეცით ამის სანაცლოდ მოძლურის შვილის წისქვილთან თქვენი სახისო წისქვილი, ბალი და ვენახი, და წყლის ნახევარი მე დურმიშხანს, და ნახევარი წყალი მოძლური შვილსა. ასე უნდა: რაც ახლა წყალი მოდის ძეირობაშიაც და როსუა ან ბევრი და ან ცოტა წყალი მოდიოდეს, დურმიშხან და მოძლის შვილმა შეა უნდა გაიყონ წყალი, და ამის გარდა რომ პაპუნა წისქვილის აბრუნებს, წყალი სხვა უნდა მოიტანოს, რომე დურმიშხანის წისქვილი არ უნდა დაცუდეს. და ვინ იყის რომე წყალი დაძირდეს და ერთის მეტს არ ეყოს, დურმიშხან და მოძლურის შვილმა რიგით იდინონ წყალი და დურმიშხანს წისქვილი მისის მეწისქვილთა მამუკათი, მისის კოლ-შეილითა. დაიწერა ქვეს ტნიდ, ენკენისთვეს ე. არის ამისი მოწამე და შეამდეგი ჯავახიშვილი ბახუტა (და სხვები)... უნდა დურმიშხან გარდასაგდებთან პაპუნას საწისქვილო მისცეს, მაგრამე წყალი სხვა უნდა მოიყვანოს, რომე დურმიშხანის წისქვილი არ დაცუდეს, როსაც წისქვილი აბრუნოს, დურმიშხან უნდა იჩინოს, რომელიც უნდა, ის დაიკიროს.

დურმიშხან

49. ნაციოდობის წიგნი, დაწერილია მშენებრს ქაღალდზე ლამაზის მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი. თავში და ბოლოში უმინშენელო ადგილები გამოვტოვეთ.

1678, მქათთვის 1. ...ეს ნაციოდობის წიგნი მოგართუით ჩემ ბარათაშვილმან ბატონშა შოთა და შვილთა ჩემთა

თამაზ და მომავალმან სახლისა ჩეკისაშან ასე და ამა პირსა ზედა: მოქალაქე ამ სარეისას ვალი მემართა და ბატონმა კაცი ლამაყუნა და იმის ვალს მათხოვდენ (sic), და ვეღარის თავს აუცელ და მოველ და ოქცენ ბატონს მაღივანბეგს (sic), ვახტანგს შემოგეხვეწე, და ჩემი ვალი ოქცენ გარდამიერდეთ, და იმის ვალში ჭერისხევედ დორისთავებს და ჯალფამს ჩემი კერძი მოვუიდე თავისის მათითა (sic), და თავისის ბარითა... ასრე და ამ პირობითა ღორისთავებს და ჯალფამს პირველვე სახევაძებს სამ წილად გევაო (sic), და იმ სამის წილისხევინ ამოვარინილის გოდერძის წილი ოქცენ გევიდა ღორისთავებს და ჯალდანს შესამედი, და ორი წილი ჩეენ სამთ ძამთ (sic) შიომისა და იასესა და დათუნასი იყო, და ჩეენ ძამანი გევიყარენით და ჩეენც სამთ გავიყავით, ორი წილი იასესა და დათუნას ერვო და ერთი წილი მე მერქო, რახანც ჩემს ვალს ველაზ აუდევ, ჩემი კერძიც ტქცენ მოგყიდე, ჩემი ვალი ამ სარეისასი რომ მემართა, თქცენ გარდაიკადეთ და ჩემი კერძი ტქცენ ბატონის მდივანბეგის ვახტანგისათვეს და ოქცენის შეილის სულხანისა და ვახუშტისა, და ყაფლიანისა, და ზალისა, და ზურაბისათვეს მოგვყიდნია. მოვცეს და ვინელინიეროს ღმერთმან... მოწმენი: ბერან წილაშეილი და შერმაზან ხურდაყაულის შეილი, ცალქალამინდე პაპუნა და დოშეჩი თამაზა, ყაითმაზაშეილი ნარიმანა, კალაქის მამასახლისის შეილი ბერან და გორგი იაშეილი და მაცხეთის (sic) მაგალობელი ბერუე, და ქუმო-ბოლნელი მამასახლისი სალმაზანა, და შემო-ბოლნელი მამასახლისი შერმაზანა და მე მანდენანთ ივთან დიღაშეილის ბაისონლულის დამიწერია და მოწამეულ ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მეათათვეს ა, ქვეს „ტნოვ“ [თავს].

50. ვაცელის წიგნი, დაწერილია ჭაღალდე შედრულის ხელით. ნიშნებად ზოგჯერ იმარტება ორ-ორი შეტრილი და ზოგჯერ სამ-სამი. უმნიშვნელო აღვილები ვანკებ გამოვტოვეთ.

1671. თებერვალის 12...მოგეცით ესე წიგნი ჩეენ ასანბეგის შეილმა თაყამ, ასლამაზ ტ შეილმა ჩენმა გიორგიმ, ასლამ ტ იოსებ

თქვენ გოსტაშაბის შეიღლს პაპუნას, შეიღლთა თქვენთა გოსტაშაბს, ყაფარ-ბეგს, ნიკოლოზს და თამაზს... მოგიცალეთ ტბის (ტაბის) ჩვენი კერძი, რისაც მქონებელი ვიყოთ, სასახლე მისის მარნითა, ქვევრითა და შესავალ გასავლითა, შენითა და უშენითა, ჯოეს-შეიღლები მისის მამულითა, რისაც მქონებელი იყონ იმითა, თანებანთვეს გარდისდე*) მირზა შეიღლის მამული.... ამისი სანუქაფი გამო გართვით ენაგებს ჯანიკას შეიღლები სამი კომლი მისის მამულითა... ცამეტი თუმანი თეთრი და ხუთის დღის შიწა ჰაპას-გორში არლარა დარჩა რა ჩვენზე... მოწმენი: მეჯინიბეთ-ხუცესი პატა (პატა), მისი ძმა ოთარი, სულხან ბარათა შეიღლი, მისი ძმა იონათამ, რევაზის შეიღლი შერჩაზან, თამაზის შეიღლები იყსე და დათუნა, აბადარ-ბაში გიორგი, ჩვენ ყმათაგან პაპუა და უნჯულა შეიღლი, მე მოლარე ბერებს დამიწერია და მოწამეც ვარ, ქვეს ტნთ, თებერვალს თორმეტს გასულს. ჯაფაზი შეიღლი (აქედან აშანედ აწერია): ქაიხოსრო, მისი შეიღლი ბახუტა და დურშიშხან და იასე.

51. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდზე შეცდრულის ხელით. ნიშნებად იბმარება სამ-სამი წერტილი. უპნიშენელო ადგილები განვებ გამოვტოვთ.

1679, მარტის 15. ...ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი და-გიწერეთ და მოგეცით ჩვენ თქუენმან განაყოფმა ფალიანხოსროს შეიღლმან დურმიშხან თქვენ ბარათას შეიღლს ზაალისა და შეიღ-სა შენსა იორამს, როსებს (sic), ქაიხოსროს, ზურაბს და გიორ-გის, და მოგყიდეთ ჩვენი ილალი მემკვიდრე ჩვენი უმა გერგიძე ლომიტა. მოწმენი: გოსტაშაბის შეიღლი პაპუა, ქავთარის შეიღლი იონათამ, მისი განაყოფი მანუჩარ მე გორელს ფარ-ლის ძმისწულს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ იმისი. დაიწერა ესე მტკიცე სიგელი ქვეს ტნის, მარტის ნახევარს.

| დურშიშხან | .

*) ქა თრი სიტყვა შემცველი მოყვანილი თრი სიტყვის ზემოთ სწერია.

52. პირობის წიგნი, დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით.
ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი. შესავალი და სხვა უმნი-
შენილი აღვილები განვებ გამოვტოვთ.

1688, აპრილის 22. ...ესე წიგნი მოგაროვი მე მიქელაძემ
გიორგიმ შენ ვაშტაშაბისშვილს პაპუნასა და შეილთა თქვენთა
გოშტაშაბს, ნიკოლოზს ტამაზს ასე და ამა პირსა ზედა, რომ, სა-
ბართაშვილოში დურმიშხანის მამული გვიბორდა ბატონშა და
სანამ იმ ქვეყანას ვიყვნეთ, იმ ჩვენს მამულში თუ რამ ჩვენის
კელით გამოვიდეს ან მლთითა და ან კაცით, და ან ბატონითა,
თქვენთვის და თქვენის შეილებისათვის კი და კის მღომნე
ვიყვნეთ, მტერზე მტერი ვიყვნეთ და მოყვარეზე მოყვარე ვი-
ყვნეთ, და თუ რომ სხვა რამ გამოვიდეს, ჩვენის კელით თქვე-
ნი შემთებელიც ვიყვნეთ და მარგებელი, და არცა რა თქვე-
ნის სიტყვის გარდაუვალი ვიყვნეთ, და რაც დავვარიგოთ,
კიდეც დავიჯეროთ და ალგეთზე წისქვილი და მისი გარეშე-
მო რომ გვეპირათ, იმაზე კელი აგვილია და თქვენთვის მოგვირ-
თმევია, და რაც ჩვენ იქ დასაფქვავი პური გვინდოდეს, თქვენ
იმისი მინდი არ უნდა გვთხოოთ, დურმიშხანს რომ წისქვილი
ეჭირა, ის წისქვილი და გარეშემო ვინც ამაში გავიმტყუნდეს
და ეს წიგნი მოგიშალოს, თვალი რისხევს ღმერთი.... და ბატო-
ნის ჩვენის ნეფის გარებებს შემოცოდელნი ვიყვნეთ.... მოწმე-
ნი: მდივანი ბევთაბევ, სოლალაშვილი ბევან, ეშიკილი (sic),
ამილახევარი ბევან, დათუნა ხოჯა, ციცისშვილი ბალურ, თაყა-
შვილი ასლამაზ, რევისშვილი გოდერძი, საკაძე ზურაბ, აპრი-
ლის კბ გასულს, ქვეს ტოვ. მე იოვანეს დამიწერია და მოწამეც
ვარ.

მოდის
ჩატარება

53. განჩინების წიგნი, დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით.
ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი.

1688. თაბათვის 21. ქ. ესე წიგნი მოგაროვი მე მიქა-
ლაძემ (sic) გიორგიმ თქუენ გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შეი-

ლოთა თქუენთა გოსტაშაბს, ნიკოლოზსა, თამაზს, ასრე რომე
პირველ ერთმანერთს შეერიცდით და ერთმანერთს საფიცარი
მივეცით, და მამულის საქმეზედ გავრიცდით, და ცოტას საქმე-
ზედ იყიშალენით, და ბატონის ბძანებითაა ბატონი სახლოთ უბუ-
ცესი ქაიხოსრო, მდივანი ბევრაბევ, მდივანი ზაქარია—ესენი და-
გვისტლენ, ამათ ვეიუვეს სამართალი, ასრე რომე მოძღვრის,
შვილის წისქვილი მისის გარეშემოთი თქუენ დაგანებაა ამ წე-
სითაა, კელი ივერილია და მიგვირთმევია, რომე რაც ჩუენი იქ
დასაფეხვავი პური მოვიდეს და იქ ჩუენთვის დაიუქვას, თქუენ
იმისი მინდი არ უნდა გვთხოოთ, დურმიშხანს ალგეთზე რომ
წისქვილი ეჭირა, ის წისქვილი მისის გარეშემოთი დაგვინე-
ბებიაა სადამდი ამ ქვეყანას ვიყოო, ამ წისქვილის სანაცლოდ
თქუენის ქალის ნასყიდი ნახევარ ზვარი მოგვეცით, არის ამისი
მოწამე და დამხდური ბატონი ციცი. მოღარე ბევრა, იგრეა
წინ-წყაროს შამასახლისი, ქვესა ტოვ, თიბათვის კა [] [].

54. მამულის გაახლების სიგელი, დაწერილია ქალალზე რგვალის
მხედრულის ხელით. ნიშნებად იმარტინ წერტილი.

1689. ქ. ნებითა და შეწევნითა მძღისითა ჩვენ მძღივ
აღმატებულმა და მღთივ დამყარებულმან, და მღთივ ზეცით
გვრგვენოსანმან, იასიან, დავითიან, სოლომოიან (sic) ბაგრატიონ-
მან, მეფეთ შეფეხმან და კელმწილემან პატრიონმან ნაზარიალიხან,
და დედამან ჩვენშან, დედოფალთ დედოფალმან, პატრიონმან
ელენემ, და ძემან ჩვენშან პატრიონმან იმამყულიმ, კოსტანდი-
ლემ და ისლამირზამ, ესე ამიერით უკუნისაძლე ეამთა და ხანთა
გასათავებელი სამკეიცროთ და საბოლოოთ გამოსადევი წყა-
ლობისა და მამულის გაახლების სიგელი შეგიწყალეთ და გი-
მოძეთ თქუენ ჩვენთა ერთგულთა და ნამსახურთა ყმათა ბარა-
თაშელის, ყლიჯ-ყორს პაპუნას, შეილსა შენსა გოსტაშაბს,
თამაზს და მომავალსა სახლისა თქუენისათა, შას ეამსა ოდეს
მოგვდევით კარხა დარბაზისა ჩვენისას და სომხითს ზემოწა-
რაქვას წიგნის გაახლებას გვეაჯენით. მოკითხული ვქენით და

ამოვარდნილის თალღამოზისშეილის ნაქონი მამული ყოფილიყო, და თქვენ მოვცემოდათ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ და სიგლითა ამით გავიხსლეთ ზემო-წერაქვეას მისის სამართლიანის სამძღვრით და მამულით მოგიბოძეთ, თუ ჩვენ თქვენ ეს გამოგართვათ და ეს შემული სხვის მიგიცეთ, ბედნიერის ყევნის მესისხსლე და მისის ოჯახის შემცირე კიყოთ. ამისად გასათავებლად ეს პირი მოგვიცია, გქონდეს და გიბედნიეროს ტონ ჩვენს ერთგულათ სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა ვე-ქილ-ვეზირნო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელთა კარისა ჩვენისა მღივან მწიგნობრის თუმანიშეილის გვიცითა, ქვე „ტოზ“ შეუ ნახა-
სალითან.

(შემდევ აზის ერთი სპარსული ბეჭედი და მერმე ბეჭედი კათალიკოზისა, წარწერანი ბეჭედებისა არ კანირჩევიან).

55. ნაციონალის წიგნი, დაწერილია ქალალზე მეტრულის ხელით. ნიშნებად ნაბეჭარია სამ-სამი წერტილი. უმნიშვნელო აღვილება ვანგებ გამოვტოვეთ.

1699, მართამობისთვის 1. ...ესე... წიგნი მოგეც ბატონის ჩემის შეკითხელობით გიუაშეილმა ქუბაშა შენ ჩემ ბიძაშეილს შიოსა, შეილსა შენსა ბასილის, ბერუსი და ქიტუსა... მოგყიდე მჟავა-დური ტექმდის მიწა, იმ მიწის ნახევარი ჩემის ძმის ბერუსგან გა-მოვიცალე.... მოწმე: მმაღაშეილი ბერიკა, მმაღაშეილი გო-დერიძა ერევაშეილი, კახიშეილი კახუა, კახაბერიშეილი კახაბე-რი, საკაშეილი ენაგელი ყაზარი, ოსიუმაშეილი ზაქარია. მე თაყას იარალიშეილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, იღიწერა ესე წიგნი მარიამობისთვეს დამდეგს, ქვე ტპზ.

56. ნასყიდობის წერილი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. ჩვენის დავთარში ამ წერილის მარტო შინაარსი გვაქვს მოყვანილი შემოულებისათვის.

1690. ქვეს ტოტ უჯარმის შეილს სეფიას და პაპუნას მიუყიდია გრძელში მიწა დაკარგულის მახარას შეილებისათვის — გიორგის, საბას მღლელს, შოშიტას და დარწინისათვის.

57. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. ნიშებად იხმარება ორ-ორი წერტილი. შესავალი განვებ გამოვ-ტოვოთ.

1681.ესე.... ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოვე-ცით ჩვენ ბარათაშეილმან გუგუნამა, ავთანდილ, გიორგიმ და ბარათამ და ლურმიშხან, თქვენ ბატონს მდვანბეგს (sic) ვახ-ტანგს, შეილთა თქვენთა ბატონს სულხანს, ერასტის, ვახუშტის, ყალანის, ზალს, ნიკოლოზობს და ზურაბს ასე და ამა პირსა ზე-დან, დაგვეჭირა და მოვყიდეთ ჩვენი მკედრი მამული მაშვ-რის პირს დარასათავსა და კაბლდამშა ჩვენი კერძი მამული. ლორისთავს ერთ წილად ხეჩიკა (ჩამოთვლილია სხვა ცხებიც თავის მიწებით)... მე თუმანიშეილს თვთ გივს დამიწერია და მოწა-მეცა ვარ ამისი [გვე] ქვს ტნით*). (აშიაზე სწერია): მდივანი გიორ-გი ამისი მოწამე ვარ [დივანი გორგი]; ქ. მე მდივანი როსტევან ამისი მოწამე ვარ [ასტევან]; ქ. მე თუმანიშეილი მდივანი სულხან მოწამე ვარ [მდივანი სულხან].

58. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. ნიშებად იხმარება ორ-ორი წერტილი. შესავალი განვებ გამოვ-ტოვოთ.

1699. ...ესე ნასყიდობის წიგნი მოვეცით ჩვენ საგინასშეი-ლმან ზაზამ თქვენ გოსტაშებიშეილს მანგლელს ბატონს ნიკო-

*) ეს ქორწინელი სულ სხვა შელხით და ხელით არის დაწერილი და ამი-ტომ საქვევა.

ლომს ასე რომენ (sic) მოგვიდეთ ჩვენი ნასყიდი წხაკვითას მა-
მუქას შეიღი შიო და მისი შეიღი მამუქა... არის ამისი მოწამე:
ბოქაულო უხუცესი იბაშერ, გოჯასპის შეიღი დათუნა, თულას-
შეიღი ზურაპ, ნამანგლელევის შეიღი როსტომ და მე ონოფ-
რეს საკაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა ქვეა
ტბე+.

შემდევ სხვა ხელით სწერია: ის კაცი თვეისის ცოლითა და
შეიღით მოგვიყტა, სანამ მის მოგარომეულით, ის კაცი ჩვენს ხელ-
ში მოყდა, და მისი ცოლი და შეიღები ქალით და ვაკით მო-
გაროთით, არას კაცს მღვის მეტს იმისთვის კელი თქვენს მეტს
ირავის აქეს მღვისა თავდებობით. [ნანა დევითი ზაზა]

59. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე შედრულის ხელით.
უზრიუნველყო აღიღები განვებ გამოვტოვთ.

1690, ანგრიას 29.... მოგვიდე მე მიწა მე ყანდია შეიღი-
ლან მე დათუნა და ჩემა ძმის წულმან მირჩამან და თამაზემან ...
ერთისა დღისა მიწა გარძელში (გრძელში)... თქვენ დაკარგულ-
სა შეიღებს მახარს შეიღებს, გორგას, საბას, მღდელსა შოში-
რასა, დარჩიასა, მამავალთა სახლისა თქვენისა... მოწამე თავადი
ტბი და კაცთაგან ჩემი განაყოფი მღდელი პავლე მღდელი. მე
საბას მღდელსა დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ეს წი-
გნი იანვარს კთ, ქვს ტოტ+++. —

60. სიველი, დაწერილია ქალალზე რგვალი შედრულის ხელით.
ნიშნებად ნანმარია ორ-ორი წერტილი.

1704, აპრილის 3. ქ. ნებითა ღრთისათა ჩვენ ქართველთა
მეფისა და ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანის ნეგლარ
ბეგისა, და მაგიდრად მყოფმან ერანის მღვანბეგმან (sic) და საქარ-
თველოს ჯანიშინმან, პატრონმან, ზაჰელინიხან, და ძემან ჩვენმან
პატრონმან ქოხოსტო, პატრონმან ებერანგ, იასემ, სვიმონ და თა-

იმურაზ ესე შტკიცე და უცვალებელია წიგნი და სიგელი შეცრწყა-
ლეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალ ფერიდ
ნამსახურთა ორბელიშვილს სულხან ყოფილს საბას, ძმისა შენ-
სა მდივანბეგს ერამტის, ვახუშტის, ყაფლანს, ზერაბშა და ღიმი-
ტრის, მაშინ თდეს ზაალ ერისთვის ჭალს ბატონს დელათ
თქვენს თავის შინთვის სამკაულით ჯაღდგმა და დორისთვი
ეყიდა, მერმე ჩვენის ერთგულობისთვინ და ნამსახურობისათვინ
ერეკლე მეუკა დაუნაშავებლად ასრე წაეყდინე, არც იმ ქვეყა-
ნის დაეყენებინე, და ნასყიდიც წერომია, თავად დაუნაშავებ-
ლად წართმა და მერმე ნასყიდისა აროდეს ყოფილიყო, თვი-
თან მასუკან იმასვე თქვენი დაუნაშავებლობა შეეტყო, რომე ჩვე-
ნის სამსახურობის მეტი იმაზედ დანაშაული არა გქონოდა რა,
და ახალციხიდამ ისრევ მოცეულანეთ და დედის თქვენის ნასყი-
დი ისრევ ებობა, ჩვენც იმ სიგელით დავვიმტკიცებია, რომე ჩვე-
ნის სამსახურობის ჯალდამი და ღორისთვეი თავისის სამართლიანის
სამძღვრით დედის თქვენის ნასყიდია და არას კაცს კელი არა
აქვს, გქონდეს და გიბედნიეროს ღრთნ ჩვენსა ერთგულად სამ-
სახურისა შინა, დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა კარი-
სა ჩვენის მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა, კეს
ტებ, აპრილის გ. შაჰველიხან (ჩელმართულალ).

ჩრდილ ვაზ დავითის შეველ
ლომანდ ვით ის ვაზტრანგ ვამ-
ტუმც შეუს შეობით

შოთა რე შეფიხა ბე-
ჭიდ ვამტკიცებ ისე

შოთა რე ბეჭი-
ნიშვილი ჭიბოლის

61. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ჭალალზე მხედრულის ხელით.
ნიშნებად ნაბმარის სამსამი წერტილი. უმნიშვნელო ადგილები
გამოვტოვეთ.

1706, თაბათვას 4.... ესე... ნასყიდობის წიგნი ფიცი და პი-
რი მოცეცი მე ვითშვილმა ქუბამა, მამავალმა სახლისა ჩემისამა,

მოცყიდე ჩემი...კერძი ვერზედ წისქვილი თვისის შესავლით
და გასაცლით და ჭალითა შენ ჩემს ბიძას შეილს შიოსა, შეილ-

სა შენსა ბასილს და ბერეუქს, ქირუას, ოქროას... მოწამე კაცთავან დამხდომი და შემრიგი ყორძანიშვილი ფარემუზა და ყორძანიშვილი ედიშერია, ჩვენი მეზობელი ამბლაშვილი ბერია, მისი ვანაყოფი ისტე, კახიშვილი ვახიძე, სუნბატის ყმა სარქის, დამიწერია მე ჯანაშვილს მოლარე სუნბატს და მოწამე ვარ მის. დაიწერა თბილის, და გასულს, ქვეს ტელი ვანც მის შლალ კელი ჰყოს...

კუთხის მიერთებული უსაფრთხოების შესახებ

62. გუჯარი, დაწერილია მშვენიერს ჭაღალდზე მშვენიერის მეფრელის ხელით. ვრცელი შესავალი და შემდევ წეველა განვეპვა მოვტოვეთ. ჩიშებათ იმპარება ოზ-ოზი წერტილი.

1710, მაისის 12. . . . ჩვენ აბაშის შეილმან სუფრანისან ზარუნშა დავით და შეილმან ჩემინ ნოდარ და მომვევალთა სახლისა ჩვენისა ყოველთავე შენ ჩვენსა სასოსა და ორისავც ცხოვრებისათვს დო-დალ სიქალულსა, უდაბნოს საძელს, ხატსა მაცხოვრისასა, შემო-გწირეთ და მოგახსენეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი ვა ძველ ოდესმე დედაკაცმან მწვლილი იყი, ჩვენცა ეგრეთვე სა-სოებით შემოგწირეთ და მოგახსენეთ ჩვენი საკომლო ენაგოსა ძმულაშვილი მისის მიწა წყლითა, საენავითა, უენავითა, ვენავი-თა, მოითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, სახლ-კარითა, ქვევრ მარნითა..... ვინცავინ წინამდლვარი იქ ბძანდებოდენ, ძეურედ მოსვლის კასნების კვირიაკესა ჩვენთვინ ეამს სწირვიდეს თავი-სის კრებულითა და კიდევ სულის წმინდის მოსვლის დღესა, და ჩვენის ცოდვის აღსაეკულად მოკასნებას ყოფილნ, არიან ამისი მოწმენი და შეა დამხდურნი: ჩვენი სახლთხუცესი ლაშა-ზაშვილი აეთანდილ, ბორძელი პაპუა, ლამაზაშვილი პაპუა, თვეესა მაისსა იპ, ქვეს ტებ. დაიწერა კელითა წიგნი ესე ქზის მდივან-მწიგნობარ-მგალობელი მღალაძის სოლომონისათა.

პნა დეთისა
დავით

კუთხის მიერთებული უსაფრთხოების შესახებ და მოსვლის დღესა და დღეს არის იმი ან მოსახული მიერთებული იქ მისათა არებ-ინი მოტებული იმული კავშირის და მოსახულის მინ-

63. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მშეღრულის ხელით. ამ წიგნის მარტო შინაარსი მოვყენეს აქ, ისე როგორც ჩეკენი რევულშია ნაჩვენები.

1712, ოქტომბერის 20. გოგიაშვილს ბაზრამის და მის ძმის პაპუნას და მომავალის მისა ბარამის, ზურაბას და ჩიტრების, ესორისათვის და მის მომავალთა დათუნა, ფარსადან, ზაალ, ესიტა და იოთამასთვის მიუყიდნია ჭინჭარაული ორის დღისა, წიგნი დაუწერია გიორგის. ოქტომბერის ოცა, ქეს უ.

64. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მშეღრულის ხელით. ნიშნებად იბმარება სამ-სამი წერტილი. უმნიშვენელო ადგილები გამოვტოვეთ.

1713, მექათავის 31. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგარითვი მე დექაპაზ თქეენ მდივანბეგის ქალსა ბატონსა გუქასა, ასე რომე მოგყიდე დადაზედ ჩემის ყმისა თამაზაშვილის კერძი მიწა აღგერთის პირამდის.... მოწიმე ნამიანგლელევისშვილი როსტომ [როსტომ], ქათარაშვილი გიორგი +, ზაალიშვილი ქოხისრო +. მე იასე თულაშვილს დამიწერია და მოწიმეცა გარ ამისი. დაიწერი მექათავის გასულს, ქეს უა, არის იმისი მოწიმე გერმანოზის შვილი იასე [ჰერიკ], საჩინოშვილი ფარსადან [], გერმანოზისშვილი ლუარსაბ [], თაყაისშვილი იოსტიმ [], ჩაჩიკაშვილი სამ.

65. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქაღალდზე მშეღრულის ხელით. ამ ნასყიდობის წიგნის მარტო შინაარსი გვაქვს მოყვანილი ჩეკენი რევულში.

1716, მაისის 10. ხახუტასშვილებს გიორგის, ქიტუას და თოთარის მიუყიდნიათ ესიტაშვილების დათუნა, ფარსადან, ზაალ, ტეტა, იოთამ და პაატასათვის ქორიანშია მიწა თარის დღისა. ამის დამცასებელი და შემრიგებელი მათე მლდელი, ხუცია ჩეკენი

ძისშეიღი, ნაწილი ბურბურასშეიღი და სხვები. მე მღვდელს
ნუკარძეს აბრამ დამიწერია და მოწამეცა ვარ. მთისის ი, ქვეს უდ.

66. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით.
მარტო შენაბრძო მოუკანილი ჩვემს რვეულში.

1716, მქათათვას დამდეგს. ბედიანიშვილის ტატე მღვდელს
ქურდობა შეუტნევება დათიაშვილის ჩიტუსათვის და დათია-
შვილს მისთვის აღვილი მიუყიდია—ქვეს უდ.

67. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდზე მხედრულის ხელით.
ნიშნებად იბმარება სამ-სამი წერტილი.

1717, აანგრიას 19..... ესე.... ნასყიდობის წიგნი ფიცი და
პირი მოგეცით ჩვენ ზურაბიშვილმა რევაზის შეიღმა პაპუნამა
თქვენ ყორბულებისშვილს შიომშ ბეგისშვილს გოორვისა და შეი-
ლთა თქვენთა შიომშს და იასესა და ლუარს(ა)ბას, ძამს (sic)
თქვენს იოვანესა, ასე რომე დაგვეტირა და სულს იქით გზა
ღონე არ მქონდა, მოგყიდე ჩვენის დიღის დაჭირებისათვინ არა-
გას ჩემი კერძი ბართით (sic) ნარები მოსეშვილის ბერუება
კერძი და ხიზანიშვილის კერძი.... მოწმენი: ქანანაშვილი (ქან-
შვილი) ფარსადანა (ფრსდნა), ქანშვილი ზურბა, სესიტშვი-
ლი პტა. ყულიაშვილი შერმაზნა, და ხალუა და ზაზა.... დაიწე-
რა იანგრის ით ვასულს, დამიწერია მე ედიშერაშვილს მოლრე
სუნბრს, მოწამე ვართ ამისი, ქვეს უკ მარსული.

68. განმინების წიგნი, დაწერილია ქალალდზე რგვალი მხედრულის
ხელით. ნიშნებად იბმარება თითო წერტილი.

1719, მქათათვას 9. ქ. გოსტაბასშვილის ამილდაბა-
რისა, და მისს სხელის კაცო სოფელი მართამედნი და იქით
ოთარ მცირენის ყმანი, და ბეგაშვილის ყმანი ლომეულის ჩრდილის-

უბნელნა მიწებსა და სათიპზედ ცილობდენ, და ჩრდილისუბნელთ
ესარჩეულოდენ ჩვენი არის, უბრალოდ გიქირავსოთ. ამისი ჩრდი-
ლისუბნელთ აშორო უთხრეს, რაც უბრალოდ თქუენ არ გვიყი-
ლებით, მის მეტი კელი არა გაქვსთ რაო. ამათი საჭმე გავსინჯეთ
და უფიცრათ არა ხდებოდა და ასრუ გაუჩინეთ: თუ წადგეს ბევრა-
შვილი ლოშეაცი და ჩრდილისუბნანს მსხლობარი (შაბლობარი
უნდა იყოს) რვა შემკვიდრე გლეხი და ასრუ იფიცრონ, რომე ესე
და ეს სამძლეარი თქვენსა და ჩვენს შეა რომ არის, ამას აქათ
ჩრდილის-უბნისა არის, და არც არას გვემართლების, საღაც გა-
იარონ, დარჩეს ჩრდილის-უბნელთა, და თუ ვერ იფიცრონ, დარ-
ჩეს მარიამელთა. ამაზედ ორბელი დაგვიყენებია, მოყიოთხული
ქნას, გარეშემო მასსოფრი მცოდნე კაცნი მოიყვანონ, თუ იმ-
თით სწორე სამძლეარი იპოვნონ და ორნივე შესჯერდნენ, ის
არის, თორებ როგორც ეს ფიცი გაგვიჩნია, ასრუ დაატიცონ
და ფიცით გაატანინონ. თუ ვერ იფიცრონ, რასაც მარიამელუ-
ლნი ირჩიან, დარჩეს იმათა. ხატი მარიამელთ იპოვნონ, ლომ-
კაციმ და ჩრდილისუბნელთ დაიფიცრონ. თუ იფიცრონ, რაც
გოსტაშებისშვილს ღალა წაულია, ისევ მოსცენ. ქუსუჩ, მე-
თათვის თ. [შეუ გავია].

ამ გარინების მეორე გვერდზე შემდგა წერილია:

ან შენა აქ გეურჯამ ამა ორთან მოსწერეთ, რომ ორთა-
ვის (ოთავის) სიტყვა ერთია, მაქ ბატონო, მე მინდა, აღლომ
მოგახსენებ, დამიწერია და მოწამეულა ვარ. ჩემ მაგიერ ბატონს
ჩემს ქეჩიზედ კოცნა მოახსენე. ღრთ რომ საჭმე კარგათ მოა,
ბატონო მელიქო, ბადახუდას ანბავი ვერ შეიტყვეთ, თუ რო-
გორ არის, ბაბახანის სიკედილს აშობენ, ოცი დღე არის, მაგ-
რამ მეცხვრე ანბობს, თუ გინდა კედარი იყოს, თუ გინდა ცო-
ცხალი, ერთი ანგარიშია, და ახლა ბატონო მელიქო, ბატონის-
შვილმა ერთი ბარათი მიბოძა ფ[ა]ნბაეის (პამბაეის) აღლორე-
ბაზედ (აღლებაზედ), მოვედი, ბარათი მოუტანე, არა მომცეს ჩემ-
თვს, ერთი ცხენი ვასჭირდათ. წყალობას ვითხოვ შენი ნონიას
გაზღასა, ცხენი გარიგე, ამა გზობათ გამომიგზავნე, რომ ქვეი-
თი გახლივარ, პლიბათ ახლავ გარიგო და ერთი კაცს გამო-

ატანო, ფეხის ქირაც მიკუემ, აქ ვინც ცხენს მოშიტანს, ბარათს მივაძარებ, ბარათის (ბათის) პირიც ამ წიგნში ჩამიდეთა, წარი-¹⁵
თხე, თუ როგორ დაუწერე (დუწერა), მერჩე ესეც რომ შენ აქ
საჩუქარი არ ვიღია. ის საჩუქრის საქმე და ბატონიშვილის
საქმე სულ შეუტყვია ხანსა, ძლიან მადლიერი არისო, თუ კა-
ცობა(ა), კაცი ბატონიშვილი ყოფილა, მე არ ვიცნობდიო, ჩე-
მი მტერ მოყვარეო, ღრ ჩემი იხტიარი ბატონიშვილი არის,
მეტი არავინ არ მინდაო. ხუდამ მამას კლელმა ასე ვვანბო,
ლვინობისთვის დ, ქვეს უჰე (1797). სისტემური მარტინ
ა აკეთ მოვალეობის მიზანისთვის ასე აქციას ამას და ამას ასე არავინ

69. წერილი ვაბრანგ მე-VI თავის შეილთან ბაქართან დაწერილია
ქალალზე ლამაზის რევალის ხელით. ნიშნებად ინშარება ზოგჯერ
თათო და ზოგჯერ რა-ორი წერტილი. თარიღი არა აქვთ, მაგრამ
ამის შემდეგ დაბეჭდილის სიგლიდგან სიაში, — რომ ბაქარს მამის
თბილნა აუსრულებია 1723 წ. და მაშინადამ ვაბრანგის წერილიც
ამ დროს უნდა კუთხიოდეს.

ბაქარი:

1723: ქ. მამის თქვენის ღრთის წყალობად მისაჩენელო
შეილო, მეცეც ბატონო, მრავალი მოკითხვა და ამიდ ყოფილის
სიხარული მოგვიხსენებია, მერჩე ეს გოშტუშაბის შეილი ამილ-
დაბარ ჩვენზედ ბევრს გაისარგა, რაც შეძლებოდა, სამსახური
არ დაგველო, ჩვენს სამსახურის სანუქუოთ ეს წყალობა უბო-
ძეთ განქს რაც ალისანას შეილის ზალიას წილი მამული იყოს,
თრდალეთს ზეუდისტანი აფთანდილ კორკოტის კერძი მამუ-
ლი ამისთვის ვეიბოძებია, თქვენც უბოძეთ და ნურას შეუშლით:
ვაბრანგ (ზელნართულათ).

ა ამისთვის აუგი ჩასახოვ აუ მარბი გამართეთ ჩვენი
აუ აუცხო მცხოვ აქციას აუ ალუარშიც აუგას ამავის
ამ ასებულისამართებულ აუ აუგას ამავის ასებულის აუგას
ამავის აუ ასებულ ასებულ აუგას აუ აუგას ასებულის ასებულ
ასებულ აუ ასებულ ასებულ აუგას აუ აუგას ასებულის ასებულ

70. სიგელი, დაწერილია ქალალზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებად ნაბმარია თითო წერტილი. შესავალი და უმნიშვნელო ადგილები გამოვტოვეთ.

1723, მქათაობის 9. ... ჩვენ საქართველოს ტახტის და საპატირონოს ფლობით მცყრობელთ შეკონებელმან, მეფეთ მეფემან და ოცით კელმწიფემან პატრონმან ბაქარ, ესე... მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს... დიდად ნამსახურს ყმას გოსტაშაბიშვილის მილამბარს და შეიღსა შენსა დავითსა... გიბოძეთ განქის ალიხანაშვილის ზაღიას წილი მამული, რაც იყოს ყოველიცემი, თრავადვეთ ზედ ზეუდისცანი ავთანდილ კორეკტის კერძი და ასეურეთს რაც სოლალაშვილის იყეს და ელიზბარის კერძი მამული იყოს... დაიწერა ბძანება და ფარმანი ქვეა უა, მკათათვის თ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის დავითისითა. შეუძლია შეცვა
ბაქარ

71. სიგელი, დაწერილია ქალალზე რგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებად ნაბმარია ზოგჯერ ორთარი წერტილი თითოეულის ხილულის შემდეგ და ზოგჯერ სამ-სამი. შესავალი და ბოლოს წყველა განვებ გამოვტოვეთ.

1720, აანგრის 1. ქ. ნებითა და შეწევითა.... ჩვენ მეუე-მეფემან, თვით კელმწიფემა, პატრონმან ვახტანგ, თანა მცხე-დარმან ჩეკრმან, მოისაგან (ლოთისაგან) სამართლად ცნობილმან და საფარელსა ქვეშ მისა შეკრდომილმა, დედოფალთ დედოფალმა; ჩერქეზის ბატონის ასულმა, ბატონმან რაჭესუდან, პირმშომან და სასურველმა მღვივ აღმატებულმან მღვივ (მღვივ) დამყარებულმან, მეფემ, პატრონმან შანავის, და გიორგიმ ესე... წყალობისა და მამულის სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთ-გულთა წესისაებრ თავდადებით მჩავალგვართ ნამსახურსა ზაზუნაშვილებს ზაალს, ერასტის, ბერანს, გიორგის და იორგამს, მავამსა ოდეს მოვალეებით კარსა წყალობისა ჩვენისათა, თქვე-

ნის უშვილოდ ამოეარდნილის ბიძის დურმიშხანის წილის მა-
მულის წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენ ცა ვისმინეთ აჯა და მო-
ხსენება თქვენი, შეგიშვალეთ და გიბოძეთ ბიძის თქვენის წილი
ნიაწარს გოგიასშვილის საკვამლო, დღეს რისაც მამულის მქო-
ნებელი იყოს, ქვათეთრის რაც ფალან-ხოსროსაგან ბარათთ
წილი გამოგყოლოდეთ, იქივ გოგიას შეილის ვენახი, საჭარეს
ტარიკაძე, ცხნარს ლომშერა აქავ ცხნარს ხოდაბუნი, ეწას რაც
დურმიშხანის წილი მამულია, გლეხი ფოთოლას შეილი და სა-
ლალის შვილი, ცხვრის ტბელისას შვილი, დათუნას შვილი, ფე-
ჭიას მამული; ბუჯდუჯეთს სასახლე და იქივ ზვარი; ახალშენს
ადუაშვილი; ბეთენას (sic) ბერუა; პანდარს რაც ბიძის თქვენის
წილი მამულ იყოს. ეს გლეხები დღეს, რისაც მამულის მქონე-
ბელი იყუნენ თქვენთვის წყალობა გვიქნია დაიშერა ნი-
შანი და ბძანება ესე კელმწიფეთა იანვრის ა. ქუს უც (უც?),
კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შან შიან მარტი-
როზის შვილის მდივნის ბევრაბევრისათვ. ვახტანგ (ხელჩართულათ).

72. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდებ მხედრულის ხელით.
წიგნის შინაარსია აქ მარტო მოყვანილი.

1724, მაასის 30. ქუს უიბ, მაისის გასულს, ხუნას შვილს
ერტიშვილს პეტრეს მიუყიდია გოსტაშაბის შვილის ამილდაბა-
რისთვის და მის შვილების დავითის და ვახუშტისთვის დბაგს ადგი-
ლი. მოწმენი: გერმანოზის შვილი პაატა, ქათარი შვილი სულ-
ხან, გიორგი და ოლექსანდრე გურიელი. დაუწერია იესე ფარე-
მუზის შვილს.

73. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალდებ მხედრულის ხელით.
თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარის სამ-სამი წერტილი. უმნი-
შვენელი აღგილები გამოვტოვეთ.

**1724, ენკანასთვის 13...ეს ნასყიდობის წიგნი და სიგელი
მოგეცით ჩვენ ქაგთარის შვალის მანუჩარის*) ქალმან მარიამ,**

*) ამ ჩაზღაბელის სიტყვების ზემოთ სხვა ხელით და შელნის იწერია: ჩვენ
შერიცელისა შეილმა ალექსანდრე.

ქაიხოსროს კოლყოფილმან, თქვენ გოსტაშაბის შეიღლს ამილლა-
ბარს, შეიღოთ თქვენთა დაეცის, ვახუსტის და პატას... მოგყიდეთ...
ნაქურდევში თეტიაშეიღლის ნაქონიმიწები, მოწამე: ნამინგლელავის-
შეიღლი როსტომ+და ჩემი ჩაზღო ზაალ, გერმანოზის შეიღლი პატა,
ქავთარის შეიღლი სულხან, ქავთარის შეიღლი გიორგი, ქავთარის-
შეიღლი ზაზა+აულფის შეიღლი ბერან, ჩემი ყმა გოგიჯანას-
შეიღლი გიორგი. ბუზლულის შეიღლი ნასყიდა, მე გაბრიელს სავი-
ნაშეიღლს დამიწერია და მოწამეცა ვარ, დაიწერა ცამეტს ენკა-
ნისთვეს, ქრის უიბ.

ილგენიანი

მარმარილი ფინანსის მისამართ მისამართ მისამართ მისამართ მისამართ
მისამართ მისამართ მისამართ მისამართ მისამართ მისამართ მისამართ

74. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია კალალზე მხედრულის ხელით.
თოთოეულის სიტყვის შემდეგ ესის ორ-ორი წერტილი. მოწმების
(1) სახელების შემდეგ ჭავლან უზის 4.

1725, გვრიძეს 17. ქ. სახელითა, სახელითა არსე-
ბა დაუსრულებელისა ... ურულოსა, ურაბამისა ... ესე მტკი-
ცე და შეუცვალებელი ყოვლის ხლათისა მიხეზისა და ილჭ-
თის განწმენდილი და არა სადა ბატონობაში მოუშერელი,
ებითა და ხანთა უკუნისამდე გისათავებებელი, სამკიდრო და
საბოლოო გამოსადევი წიგნი და სიგერლი დაგიწერე და მო-
გაროვით ჩენ ფარებუზის შეიღმა ბერან და შეიღმა ჩემიან
როსტომ, თქვენ გოსტაშაბის შეიღლს ამილლაბარს, შეიღლსა
თქვენსა დაეცის, ეახუშტის, პატას და ბარამს და მომდევალ-
თა სახლისა თქვენისათა, ასე რომე დამეცირა და მოგყიდე ჩე-
მი სამკიდრო, რაც ჩემი წილია კალაზედ, შენს ნასყიდს ვე-
ნახთან ჩემი ნავენაეობი, ზეით თავისის ტყითა ხოშაბს კევამდის...
არის ამის მოწმე პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმი-
დანი და კაცთაგან გერმანოზის შეიღლი დათუნა, პატა და ოთა-
რი, ნამანგლელავის შეიღლი როსტომი, და გუგუნა გვარი ბა-
რიაშეიღლი, აფუ-
ლფატის შეიღლი ბერან ბერან, საამის შეიღლი საამ და გლიშერ,
ქავთარი შეიღლი სულხან, გიორგი, ზაზა და იონათამ, ზაზუნა-
შეიღლი ზაალ და იორგი, საგინა შეიღლი იორგი, იოთამ, დათუნა,

როსტომ და პატა, ჩხიქუთას მღუდელი იქსე, გორჯასპის შვილი დათუნა, ყორლანა შვილი ზალ და ფრიდონ და შე შერმაზან ყოფილს შიოს დამიწერია და მოწამეტა ვარ მონა ბლოისა გლობული შიო.
დამიწერა პრილს იზ გასულსა, ქვეს უით.

75. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით.

ამ წერილის მარტო შინაარსი გვაქვს წევნ ჩაწერილი.

1728. ქვეს უით, თებერვლის დამდეგს, საგინა შვილები ქაიხოსრო, ზალ და დათუნა აძლევენ ნასყიდობის წიგნს გოსტაშაბის შვილს ამილლაბარს მდშეშა შავერდი შვილის მიწის შესახებ. მოწმენი: ჩხევთის შამასახლისი ზაქარია, ჯავახის შვილი მძულია, სმაუტას შვილი მძულია. მე მღდელს ფარეშუზის შვილს იქსეს დამიწერია და მოწამეტა ვარ ამისი.

76. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით.

წიგნის მარტო შინაარსია აქ მოყვანილი.

1731. ქვეს უით — გიორგობისთვის 17-ს, ჩიტუას შვილს ბერუას მიუყიდია ტაბედას(?) გიორგი ფეხის შვილისათვის მამული ქაკაბაშა. წიგნი დაუწერია ბაგრატ გაბა შვილს.

77. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით.

აქც მარტო წიგნის შინაარსია მოყვანილი.

1731. გიორგობისთვის 17. ბერუა ჩიტუის შვილს მიუყიდია ტბელ ხელფეხის შვილის გიორგისთვის და მისი შვილებისათვის კაცია, დარჩია და თამაზასათვის თავისი სამკვიდრო მამული, მოწმენი: მღვდელი იოსებ და დათუნა შვილი ქიტუა, ძეგა შვილი ებალა. მე ბაგრატ გაბა შვილს დამიწერია და მოწამეტა ვარ. დაწერია გიორგობისთვის იზ, გასულს, ქვეს უით.

*) ბეჭდის წარწერა ხუცური ასომთავრულია.

78. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მშედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნაბრარია სამ-სამი წერტილი. ემნი- შენელი ადგილები გამოვტოვეთ.

1732, მარაბობისთვის 31. ...ეს ნასყიდობის წიგნი და სი- გელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩენ გრძმანობის შეიღება ლუარ- საბ და შეიღება ჩემა გიორგიმა...თქვენ ყაფლანი შეიღლის რევაზის ქალს მარიამს, შეიღლს თქვენს თამაზს, როსტომს და ნიკოლოზს... მოგყიდე აბედას შამაშეიღლის მამული ბუზანით... მოწამე: ჩემი ბიძაშეიღლი პატა (პაატა) და ოთარი და გერმანოზ, ქავთარი შეი- ღლი სულხან, აფულაფეთი შეიღლი ლუარსაბ, სამის შეიღლი ედიშერ და თაყაშეიღლი ქაიხოსრო, და ბაგარატ გაბაშეიღლს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა ესე წიგნი მარიამისისთვის გასულს, ქვე უკ.

79. ნასყიდობის წიგნი, დაწერილია ქალალზე მშედრულის ხელით. ნიშნებად იბმარება სამ-სამი წერტილი. უმნიშენელო ადგილები გამოვტოვეთ.

1733, მარტის 26. ...ეს ნასყიდობის წიგნი და სიგელი მო- გეც მე საგინაშეიღლმა გორჯასპის (გორაჯასპის?) შეიღლმა დათუ- ნამა და შეიღლმა ჩემა გორაჯასპიმა და სახლისა ჩემისა მომავალმა შენ გოსტაშეპის შეიღლს მიღლდაბარს, შეიღლს შენსა დავითას და ვა- ხუსტისა, და სახლის თქვენის მომავალს მოგყიდე ჩხაქვთას (ჩხიქვთას?) ქანჭადეარაზე თამაზაშეიღლის ნაქონი. სარაქისული ქვეით ჯამალას მიწის სამძლერამდი... არის ამისი მოწამე თა- ვათ ლერთი, ყოველი მისი წმინდანი, კაცთაგან ამისი მოწამე გურაბიშეიღლი გულაია + და ჩხიქვთის (ჩხექვთის?) მამასახლისი კაზი გიორგი + და ქესაგინაშეიღლი (?) იასე + და მე ბაგარატ გაბაშეიღლს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მარტის კვ გასულს, ქვე უკა + +.

80. ვაკელის წიგნი, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხელით. ნიშნებად, ნაბმარია სამ-სამი წერტილი. უმნიშვნელო აღვილები გამოეტოვეთ.

1733, მარტის 19. ესე წიგნი მოგვეუი მე ერასტიმ თავილა-თოიანმაშენ ქაიხოსრო თაყაშეილსა, ასე რომე ედასფიას გედა-ვებოდი და იმისი სამუქტო სხვა მამული გამოვაჩოვი... მოწიმე: ამილოდაბარ გოსტაშაბის შეილი და პატა გერმანიიშეილი. მე ბაგრატის (ვამაშეილს) დამიწერია და მოწიმეცა ვარ. დაიწერა მარტის ცხრამეტს, ქვეს უკა.

81. ბძანება მეტის ბაქარისა, დაწერილია ქალალზე მხედრულის ხე-ლით. ნიშნებად ნაბმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არა აქვს, მაგრამ ვინაიდგან ბაქარი მეტობდა 1716—1718 წლებში, ამისა-თვის ბძანებაც ამ დროს უნდა ეკუთვნიდეს.

1716—1718. ქ. ჩეენი ბძანება არის. მეტმე უსებეგიშევა-ლის ნისყიდს კაცზე თაყაშეილს ხელი წუ აქვს, ისევ ამისთვის გვიბოძებია, თაგქეს ებადა იასაულო, ამს მოაბარე ჩუკ ბაქარ

82. სიველი, დაწერილია ქალალზე ლამაზის რვეალი მხედრულის ხელით. ნიშნებად ნაბმარია ორ-ორი წერტილი.

1733. ჩუკნ ძირ-მლ-დემით პან კრატოვანმან, ქემან მეტის ისესტან, ბატონიშვილმან პატრონმან გომარების, დედა ჩუკნმან დედოფალმან მარიამ, გიმოძეთ თქვენ ჩუკზე გეარად გარჯილს სიძეს, ბატონს იმილლამბარს, და დედიდს ბატონს გუქას, თაღო-ზღვარებს გაცემულ-გაუცემელი დავის მარტამდის ქონდეს, მარტის უკან თქვენივე იყოს. ჭინ ჩუკნ ერთგულობაში მოვა-ხმაროს. დაიწერა ქვეს უკა. გიორგი (ზორბაზოლა). □ (მეო-რე გვერდზე).

191. განმინება მორიგი ჯარის შესახებ მეფის ირაკლი მეორისა, სიციით ხუთი აღდი და ათი გოგი, განის სამ-გოგ-ნახვარი, ანუ 399×15 სანტიმეტრი, დაწერილია თხელს, მაგრამ მტყუა ქალალდნე. ეს გრძელი გრავინილი შესდგება ოქრომეტრი ერთო-ერთმანეთზე მიწებებულის ნაკრებისაგან. იქ სადაც ერთი ნაკრები მეორესთან არის მიწებებული, ყოველთვის მინაწებებზედ უზის ბეჭედი ირაკლი მეორისა ისეთისაც წარჩერით, რაოდიტუ № 189-სა, ნიშნებათ ნახმარია არ-ორი წერტილები თითოეულის მეტლის თავში (ასო ქ-ის შემდევ) და ბოლოში, სხვა შემთხვევებში წერტილი და მიმდები. წერა ნუსტერი მხედრულია, არა მახვილი, მელანი ზედა. დედანი ამ სიციისა ჩვენ შევინირთ ბუკინისტი-საგან წერა-კოსტის საზოგადოებისათვის, გარდა ამ დუდნისა ჩვენ გვაქვს ხელში ორი პირი. ერთი ქრისტეფორე მამაკაშვილის მიერ გადაწერილი (ინილი № 1397 წერა-კოსტის საზოგადოების წიგნთ-საკავისა) და ერთიც გრიგოლ შანშიერის მიერ გადაწერილი, რომელიც ჩვენ გადაეცემ წერა-კოსტის საზოგადოებას. უკანასკენ-ლი პირის ბოლოში შანშიერის ხელით აწერია: გადიწერა ეს ნამ-დღვილის პირისაგან, რომელიც იყო ყაჩანგოზოვის სახლში წელსა 1853, მაისის 15. გრიგოლ შანშიერი. უმთავრესი განსხვაებანი აღნიშნული პირებისა ჩვენ სხოლიებში მოვცვაუს.

1774, აანგრის 4. ქ. ტიკით ეს მორიგობის¹⁾ ლაშქრობის განაჩენი დაიწერა ჩვენ მეორე ერებულე მეფისაგან²⁾), თან და-წრებით ძისა ჩვენისა უფლის წულის გიორგისათა და ყოველად სამღვდელოთა საქართველოთა ეპისკოპოსთა, და ბრწყინვალე-თა თავადთა, და ეკრეოთვე ყოველთა კარისა ჩვენისა მოელე-თავან, და შემდგომთა დარბაზის ერთა, და ყოველთა სამღლუდე-ლოთა დასთავან, და ეკრეოთვე ყოველთა ჩინებულთავან³⁾; რად-გან ც საქართველოს ქვეყანა ლექთავან ამდენს ხანს ამისთანას შოუსევენებელს მტერიობით შეიწრდა, და მოუთმენელს ცირს მი-სუა, ჩვენ ც მრავალ გზის ბევრ რიცის გარჯილობით ველადე-ნით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერდო რამე და ამხანად ტოით ყვე-

¹⁾ III: პორივის

²⁾ III: ჩვენ ერებულე შემორის საქართველოს შეფისაგან.

³⁾ III: საქართველოს ჩინებულთავის

ლასაგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამოვარჩინეთ, და საერთოდ ყველამ ვამჯობინეთ, რომელიც ამათს ქვემოთ დაგვიწერია:

ა) ქ. პირველი ეს ორი, რომ თუ დიდი მტერი ირი და სამი ათასი კაცი და კიდევ მეტი არ შეიყაროს და ამისთანას ძალით ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა არ მოინდობოს, ათასის კაცისათვის და მეტ-ნაკლებისათვის და კიდევ ასისა და მეტ-ნაკლებისათვის ეს გაგვირიგებია, რომ რაც თავადნი და ან მოაკლე, ან არ მოკელე, ან აზნაურნი მოკელე, ან არ მოკელე, ვლებნი მოკელენი, თუ მსახურნი, თუ მოყალნენი, თუ ხიზანნი, რამდენნიცა რომ იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში, თვთოსთვის მორიგობაში ჩაგვიყდია და დაგვიწერია, და სხვას დავთარში გაგვირჩევია. საჩიდრებსა, მინბაშებსა და უზბაშებს გარდა, ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყვაი, და როგორადაც გაგვიყვაი ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის მოკელებისათვის მიგვიბარებია, და თვითო დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია, და სხვა სოფელ და სოფელ მეტატონებისათვის და მოკელებისათვის მიგვიცია, და ასე გაგვირჩევია ყველასთან, როგორც ამაში დაგვიწერია¹⁾.

ბ) ქ. რომელიც აქმდის ჩვენგან გლეხს კაცს კოდის პურის მავიერი სურსათი და ღვინო ჯარისათვის ეთხოებოდათ, ის ავეილია, იღარ ესთხოვთ, რომ ეს თავიანთის მორიგობის ლაშერობაში თვითან მოიქმარონ და მეტი და ნაკლები ამ ლაშერობაებში თვითან შეასრულონ²⁾, ჩვენ ამისნი მოხოელნი აღარა გართ და ჩვენს სახსოვს ყმის კოდის პურსა და კულუხს გარდა ჯარისათვის სურსათს რომ ესთხოვდით, იმ სურსათს იღარ გამოვართმევთ.

გ) ქ. როგორც თვე და თვე დაგვიწერია კაცნი, რომ თვეება და კაციცა სახელდობ პსწერია, იმ თავის პირველის დღის წინა დღეს მოვიდეს, სადაც ჩვენგან-დაბარებული იქნება, სწო-

¹⁾ ამ პარაგრაფს თვისექნ განის აშიაზე უწერია: უ. ი. იოანე თევკ. ძის მიერ პროცეს ქვილით. ეს წარწერა სხვა ფრინანტებში არ არის.

²⁾ III უმატებს: ღრთით.

რედ თავადია, აზნაურია თუ გლეხი, თვარემ თუ არ მოვიდა, თავისის ერთის თვის სურსათის თადარიკით, რომელიც ამათს ქვემოთ დაგვიწერია გარდაედევინება, სწორედ ის დაემართება.

დ) ქ. ტოთით როდესაც ეს ჯარი იმ ვადაზედ აქ ქალაქში შემოვეყენება, რასაც სურსათს ჩამოტანენ, ვინ იცის, რომ ჩვენ ქართლსა და კახეთში, თუ ყაზახ-ბორჩალოში, ან არავზედ მიშეელება და მდევრობა მოვიკიდა, თუ თავისის სურსათისათვის იმ კაცს თეთრი წამოულია, ხომ ის თავისს სურსათს, როგორც უნდა, ისე თადარიგსა იქს, და რომელსაც პური, ლვინო და ქერი ექნება თავადისშვილსა და აზნაურშვილს გარდა, გლეხს კაცს ჩვენ უნდა წალების გზა მივსცეთ, მარამ იმ ერთისთვის სურსათი საქსნილო და სამარხო, პური, ქერი და ლვინო, როგორც შეუძლიან თავადისაც, აზნაურსაცა და გლეხსაცა სრულებით უნდა ჰქონდეს, თვარემ რაღვან ჩვენ სურსათს აღარასფრისას აღარას გამოვართმეთ, ჩვენ რომ ჯარს სურსათს დაუწყოთ ძლევა, დიალ ბევრი იქნება, და ჩვენს სარქარას სურსათის მიცემის ბინა არ ექნება, ახლავ ყველამ იცოდეს, იმ ერთის თვის სურსათს რომ წამოილებს, მაშინც თავისს სახლშიაც ჭამა და სმა მოუწნდება და ბარემდაც თავისის წმიდის სარწმუნოებისა და სჯულისათვის, და თავისის მტრის შეშინებისათვის, და ქვეყნის დამშეიღებისათვის, ტოთისა და ჩვენის სამსახურისათვის, ამ ერთს თვეს იქავ დახარჯოს თავისს თავზედ.

ე) ქ. ტოთ აშოროსთ, თუ ვინმე ივად გავდეს, და ან სასიკედილოდ ძნელად ავადმყოფი ან მამა ჰყეანდეს, ან დედა, ან ცოლი, ან შეილი, ან ძმა, ან ლა, რომელსაც თვეში წამოსვლელი იყოს, ტოთ კიდევ აშოროს, ან მოუკედესთ რამე, იმისი ამბავი იმისმა მებატონემ და მოკედეს, და იმისმა სოფლის ჯარის კაცმა უნდა მოვიტანოს, და დაგვაჯერებინოს, იმას კერას უსაყველურებთ, მაგრამ თუ ტუუილიად მოიგონა ავადმყოფობა, რაც გარდახდეენება არის განწესებული, ერთი ორად მიადგება. თუ კიდევ სოფლის ჩვეულებრივ მემკვიდრე, თუ ხიზანი კაცი, აიყაროს და სხვაგან წავიდეს, იმ სოფლიდამ

უნდა შეგვატყობინონ 1) მებატონებმ და მოკელებმ, და იმ სოფლის ჯარის-კაცმა, რომ ესე და ეს აყრილი კაცი ამა და იმ სოფელში წავიდათ, რომ იქიდამ ვითხოვთ ის კაცი, თვარებმ რომელსაც სოფელშედ პსწერია, იმასვე დაუწყებთ თხოვნის, და იმათ უნდა გვიპოონ.

გ) ქ. სადაც სოფელში მივიღნენ ეს ჯარის-კაცნი, თუ იმ სოფელში წავიდინეს რამე, პური, ქერი, ლვინო, ქათამი, ბატი, ლორი, ძროხა, ცხვარი, ბალი, თუ ვენავი, ლობე, ჭივი, თუ მოხავილი და რაც ჭირნახული, ამისთვის თავისი სარქარდა და მინბაში და უზბაში ავად მოკეციას და გარდაახდევინოს, თუ რთით ჩვენ ვიქნებით იქი, ჩვენ ვარდავაუდევინებთ, მაგრამ სოფლის კაცი ბზეხა, შემახა და თივის კი ვერ დაუშლის, და თუ სახლის გამოსაყენებელი და ხის იარაღი იყოს რამე, არც ის უნდა დააწევეონოს.

ბ) ქ. ტოთით, როდესაც ეს ჯარი შემოგვეუჩება, იმ პირებს დღესაც და გასტუმრების დღესაც ჩვენ უნიხევთ სინსა, და ამათ გარდა თავისი სარქარდა და მინბაში უნიხევდეს ყოველს კვირის სინსა. იმ მორიცვში მოსულს კაცს იმ ერთის თვისა სამყოფი ტყერა და წამალი სრულად უნდა ჰქონდეს, რომელიც არ მოიტანს, იარაღს გაუჩხრებთ, სინს რომ უნიხევთ, და ავად მოკეციობით.

გ) ქ. რომელიც ამ ჯარს ეჭირება, უკელა გაგეირიგებია, რომ იქნება აქმი, ჯარი და ურდო-ბაზარი.

თ) ქ. რომელიც ქართლისა და კახეთის იღებ-მიცემის კაცი არიან, დუქნის პატრიონი, ქართველი, სომხი, ფრანგი, თუ თათარი და პურია, თუ რისაც მილათის 2) კაცი იყოს, ამითს ბადალეს ვიყაბულებთ. მწყემსისა, მებაღისა, ხაბაზისა, მზარაულისა, გუთნის დედისა და რომელიცა შემსლებელი შეწისქელე არის, იმათს ბადალსაც ვიყაბულებთ, მაგრამ ამათი ბადალი რომ არ მავიდეს, არ იქნება, და კიდევ გარდაკედებათ. რომელიც ვაჭარი გზას წავა, რომ ქართლისა და კახეთის მამულში

1) III უმატებს: იმისში.

2) III: მილათი.

ას იქნება, ამისთანას კაცს თავისის თავისის ამ მორიგის ლაშ-
ქრობაში ვერას უსაყველურებთ. ჩვენს საბრძანებელში კი არ
მიგვიყა მურახასი თავისის მორიგობისთვის.

ა) ქ. რაღვანც მართებული არის, რომ ხეთის თვე, გინა
ათის თავი, უნდა მივართვათ ღმერთსა, და ჩვენ ყოველმან კა-
ცურ ჩვენის თავისა და ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ წელი-
წადში ერთი თვე მივართვათ ღმერთსა და ვმსახუროთ.

ბა) ქ. ამ საქმეში თუ პირველმან თავადმან დააშაოს რა-
ცე, ორმოც-და-ათი თუმანი წაერთოს, თუ თეთრი არ ჰქონ-
დეს, ჯინის გამოერთვას, და¹⁾ ჩვენის ბძანებით სხეას სასარ-
დლოს ჯარს მიეცეს.

ბბ) ქ. ამას გარდა, რომელიც და რომელმაც წინააღმდე-
ვი თავადმან, თუ იყადროს რაცე, ან ლაშქარს აკლდეს, ან კაცი
დააკლოს, და ან სხვა რიგი რომ საქმე დაიკიროს წინააღმდევი
ამ ლაშქრობისა, ამას ოცი თუმანი წაერთვას, რომელსაც თე-
თრი არა ჰქონდეს, მამული გაესყიდოს, და ის გამონართმდევი
ჯარიმა ჩვენის ბძანებით სხეას სასარდლოს ჯარს გაეყოს.

აგ) ქ. აზნაურშეილი თუ თავისს რიგშედ დააკლდეს, ან
ლაშქრობაზედ ერთი რამ დააშაოს, ათი თუმანი ჯარიმა წაერ-
თვას. ეკრანთვე მისი გამორთმეული ჯარიმაც ჩვენის ბძანებით
სხეას სასარდლოს ჯარს უნდა გა[ე]ყოს.

აგ) ქ. სოფლის მოეცელებ, ნაცვალმა, ქემხამა²⁾, თუ მამას-
ხლიმა, წინააღმდევი ამ ლაშქრობისა თუ დააშაოს რაცე, ექ-
ვის თუმანი წაერთვას ჯარიმა, და ჩვენის ბძანებით სხეას სა-
სარდლოს ჯარს მიეცეს. თუ თეთრი არა ჰქონდეს, მამული
გაესყიდოს.

აგ) ქ. თუ თავადი და აზნაური, ახალი თვე რომ დადგე-
ბოდეს, იმ თვის პირველის დღის წინა დღეს, რომელიც წინას
თვის გასული დღე იქნება, მზას ჩვენთან არ გამოეცხადდება და
მზას არ გვეჩვენება, რაც ჯარიმა და გარდაკლევინება დაგვი-
წრიო, ის გარდაკლება. თუ იმ ერთს დღეს დააკლდა, ერთი

¹⁾ III უძინტეს: ის გამონართმეული ჯარიმა.

²⁾ M: ქვეხამა.

ჯარიმა იქნება, თუ ორს დღეს დააკლდა, ორი ჯარიმა იქნება, და რამდენსაც დღეს დააკლდება, იმდენი ჯარიმა ერთშევა¹⁾, და თუ გაიპარა და ან კაცი გააპარა, ან ამ ლაშქრობის წინააღმდეგი რამ ქმნა, ამას სამად და ოთხად გარდაედეს, თავადის-შვილს, აზნაურშვილსა და მოკელეს.

ეგ) ქ. და თუ გლეხი კაცისა, კიდევ ამ რიგად ერთი თვე რომ გავი, იმ გასულის თვის დღეს თუ ჩეუნთან მზას არ იქნება, და თავისის მორიგობის თვისა ერთი დღე გაიყვანა, ერთხელ გავატაროთ რუსულად წკეპლში, თუ ორი დღე გაიყვანა, ორჯერ გავატაროთ, და რამდენიც დღე დაიგვიანოს, იმდენჯერ გავატაროთ, და თუ გაგვეპაროს, ოთხჯერ გავატაროთ. თუ ურშიობით²⁾ შინადამ იმ თვეში, რომელიც იმისი რიგი იქნება, არ წამოედიდეს და არც მოკელეს შეეპოოს, არც შებატონეს, და შალვა დაიწყოს აქა და იქი ტყეებში და სოფელში, იმისთვის კაცი იმავ სოფელში ან იპოოს, მოგვცეს, და ან ექვსი თუმანი ჯარიმა წაერთვისთ, და ის გაქცეული კაცი, რომლისაც დასტისა არ იყოს, ჩეუნის ბძანებით, ის ჯარიმა სხვის დასტებს გაეყოს, და თუ იმ გაქცეულმა კაცმა სხვის სოფელში ბუნაგობა დაიწყოს და დამალვა, და ან კიდევ ერთს კომის კაცოან ნათესავთან, თუ მოყვარესთან იმალებოდეს, და ან თუ სოფელი მალევდეს, იმათ ან ის კაცი გეიპოონ, მოგვცენ, და ან ის ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ. და ეგრეთვე თუ ერთი კომის კაცი მალევდეს, იმანც ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიოს და ის ჯარიმა, როგორც შევით დავვიწერია, იმ რიგად იმ ჯარებზედ გაიყოფოდეს ჩეუნის ბძანებით, და თუ ის გაქცეული კაცი ცოლშვილით იმ სოფელს გაეპარია, ეს ჯარიმა კიდევ იმ სოფელს გამოერთვის. თუ რომელმაც კაცმა იმისი გაპარვა იცოდეს და არ გაამზილა, ეს ექვსი თუმანი იმას გამოერთვის, თუ არ შეეძლოს სახლი, კარი, მამული, დედული გაესყიდოს და ჯარიმაში მოეცეს, ესეც განშესძისებრ ჩეუნის ბძანებით სხვის სახარილოს ჯარს გაეყოს. და თუ ის გაქცეული კაცი სოფელშია, თუ ერთმა თავისშა მე-

¹⁾ M: გამოერთვია.

²⁾ M და III: ურშიობით.

ზომელია, ან ნათესავშა და მოყვარემ მოგვევაროს, მაშინ ამ წინას სამართლების მიხედულობით გაესინჯოთ და იმისი შესაფერი სასჯელი მოვავოთ.

(۵) ქ. ეს ცველიყმა დიდმან და პირებმ შეიტყვევით, როგორადაც სულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე იმისი შეცვლა არ შევეძლიან, და არც ამ ღაშქრობისა და განწესებისა ცოტას რისამე დაქსნა და დაკლება არ შევეძლიან; ვერც ჩვენ მოვინდომოთ, ვერც ჩვენმა შეიღებმა, არც დიდის კისამშე შუამცელობით იმისი მცირის რისამე შეცვალება იქნება, რომელიც ამაში დაგვიწერია, და თუ ან სამლელო კაცი გაერიოს, ან დიდებული თავადი, ან აზნაური, ან გლეხი კაცი, თუ დედაკაცი, ვინც უნდა პატიოსანი ბძანდებოდეს და იმყოფებოდეს, კანონსა და ბრძოლაშ ქვეშე იქნების და სიტყვის მიცემა პაროთებს ღმერთთან სულითაც და კორცითაც.

(۶) ქ. რომელსაც თავადის შეიღს მამულისა და საქონლის ილავი არ ჰქონდეს, ის სატუსალოში ერთი თვე დაებას ბორკილით და ცარიელის პურისა, წყლისა და ლვინის მეტს ნურას მიაღებინებენ ქამითა და სმით ზედა მდგომელნი. და თუ იმ ზედა მდგომელთ შეუტყვევით, რომ იმის მეტი, რაც არ დაგვიწერია, სასმლისა და საჭმლისაგან მიუტანინებით რამდე, იმისს გარდასახდევინებელს ზედამდგომელს გარდავაკლევინებთ.

(۷) ქ. ეგრეთვე აზნაურ შეიღო, რომელიც ჯარიმის უიღავო იყოს, ისი ფარების გამორჩეული ჯობი დაპკრან, და ერთი თვე იმავ დასტურით, რომელიც თავადის შეიღლებისა დაგვიწერია, იმისთანაც ტუსალობა გასწიოს საცყრომილეში, მაგრამ მნახავი ნურც ერთთან ნუ მივა თავიანთის მოსამსახურისა, პურისა და წყლის და ლვინის მიმტანის მეტი. იმ ერთს თვეს პურიც თავისი ჭამის და ლვინოც თავისი დალიოს, და თუ ის ტუსალი აეად გავდეს, ჩვენის ბძანებით აქიმში ნახოს და ფიცით დაგვიწეულოს იმისი ავადყოფა, და გაუშვათ. თუ ტყუილად მოიგონოს ავადყოფა, ათი დღე კიდევ მოემატოს ტუსალობა, მაგრამ ეს დამნაშავენი ქაღაქეს უნდა დატუსალდენ და ექვემდებარება ალასრულონ თავეთი გარდასახადი სასჯელი.

გ) ქ. ამისს პირზედ გარდანაწერი დაცორები სოფელში, რომელიც პირველი მღუდელი არის, იმას უნდა ეძაროს და კარგად შეინახოს. თუ წაკდინა და კარგად არ შეინახა, თას კარს წავართმევთ. თუ იმ სოფელში წიგნი კარგად აჩაეინ იცოდეს, არც მღუდელმა და არც სხვამ კაცმა, რომელსაც ახლის¹⁾ სოფელში კარგი მწიგნობარი იყოს, იქ მიიტანონ, წაიკითხონ და შეიტყონ.

გა) ქ. თუ ერთს სოფელში ორისა და სამის კაცის ყმა იყოს, თვითოვ შეპატიონებ კაცმა იმ დაცორის პირი ამოსწეროს, და თავ-თავის ყმისა შეინახონ, და მუდამ იყითხევდენ და აქსოვდესთ, რომ ამ ვანაჩერებს არავინ გარდაკდეს, თვარებ, რაც დაწერილია, ჩვენ ამას ვერას მოვაკლებთ დამნაშავე კაცზედ, ყვილამ დაჯერებით იცოდენ. ეგრეთვე სახისოს მოკელეებმა და ეკლესიის მოკელეებმა გარდასწერონ და შეინახონ.

გბ) ქ. რომელიც კაცი, რომელსაც მინბაშს და რომელსაც უწმაშს აბარია, იმის წინააღმდევი რომ ქმნას, უნდა გარდაედეს დანაშაულობის მსგავსად. გალახონ, დააბან ბორკილით და ეგრეთვე კუნდით, თუ ასეთი დანაშაული ჰქონდეს, ჩვენი გასასინჯავი იყოს, ჩვენთან მოიყვანონ.

გგ) ქ. ამ სარიშტისა და საქმისათვის წელს ქართლი და კახეთი რომ აესწერეთ და იმ აწერაში, რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცი დაუმალივს და არ დაუწერინებია, თვისმა ბატონშია და მოკელებ ამ იღლვომამდის თუ არ გამოაჩინა, და მასუკან სხვისაგან ვიპოვთ, ის კაცი იმას წაერთმევა, ან სახასიდ დაიღება, და ან სხვას კაცს მოეცემა.

გდ) ქ. რომელიც გლეხი კაცი სახისოს, თუ ეკლესიის ყმაში, თუ სათვალოსა და სააზნაურშვილოში მემკვიდრე, თუ ხიზანი იყოს ასეთი, რომ ერთს თვეში უქონლობით და სიღარიბით ლაშქრობა არ შეეძლოს, იმ კაცს იმისმა მებატონებ,²⁾ რომლისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი მარილი ერთის თვისა, და ისე გამო-

¹⁾ M: აბლი.

²⁾ III უმატეს: და მოკელტ.

გზავნოს შეუძლებელი, თავისი მემკვიდრეობა და ხიზანიცა, ჩვენ
ბრალი ავტიკი და შეგვიტყობინებია იმის მეპატრონისათვის,
და სამართლიანის საქმით გაარიგონ ხოლმე თავის ყმილამ და
სახელოდამ.

ქ) ქ. საცა რომ ღვინო და ვენაჟი არ იყოს, იმისთანას
სოფლის მებატონებმ და მოკელებმ და გლეხმა კაცმა, სადაურიც
ის კაცი იყოს, იმ სოფლიდამ ღვინის ფასით ჯინსით შეიჯე-
რიონ იმ კაცის გული თავთავისმა მებატონებმ და მოკელებმ.

გგ) ქ. აქამდის რომ სოფლებს სამასპინძლოს შევაწერდით
ხოლმე საჩვენოდ, და ან ვინც ჩვენ გვიახლებოდენ ხოლმე,
უცხო სტუმრის სამასპინძლოს გარდა, ის სამასპინძლოც ამო-
გვიკვეთია ამ მიზეზით. როდესაც ქართლსა და კახეთს წავი-
დოდით ხოლმე, სხვა მრავალი მეულუფე კაცი გამოგვყვებოდა
და ამ გზით სოფლის კაცნი შეწუხებოდენ ხოლმე, და რაღ-
განაც ეს ლაშქრობა ასე განწესდა, ეს ხარჯიც მორიგეო კაცთა
თვითანვე მოიკმარონ.

გგ) ქ. ეინ იცის, ასეთი საქმე გამოჩნდეს, რომ ერთს შეა-
რეს ჩვენს ქვეყანაში ჩვენ წასვლა დაგვჭირდეს მტრის საქმეს
გარდა, მაშინ ამ განწესებულის ჯარის კაცისაგან, რა ერთიც
გვინდოდეს, და ჩვენის ამალისაგან, ვინც ჩვენ გვინდოდეს, და
რამდენიც გვეწადოს, თან ვიახლოთ, და ეგრეთვე ჩვენის კა-
რის მოკელენი, მდივანბეგნი, სახლთ-ხუცესნი, ქეშიკიბაში, ბა-
ზიერთ-ხუცესი, ნაზირები, მდივნები, ეგრეთვე ეშიკალაბაშები,
ყორა-იასაულბაში, მოლარეთ-ხუცები და მუშრიბები, ეგრეთვე
კელ-ჯოხიანები და იასაულები, რამდენნიც და რომელნიც ვა-
მჯობინოთ, ისინი წაგიყვნოთ მცირ-მცირის კაცით, ამისთვის
რომ კულანდელსავით ჩვენ რომ მრავალნი ვიახლოთ, არც
ჩვენს სარქარს და არც სოფლებს შეეძლებათ იმათი ხარჯი
ლაშქრობის მიზეზით. ვისაც უწინ ოცი და კიდევ შეტი კაცი
ჰყოლოდეს, დასჯერდეს ექვსსა, და ვისაც ათი ჰყოლოდეს,
დასჯერდეს სამსა, ორსა, გინა ერთსა, ამათის საქმისა და გა-
ძლებისა, სანამდის ტთით ჩვენ მოვბრუნდეთ და შინ მოვიდეთ,
რითაც იქნება, ტთით ჩვენ რიგი უნდა მიისცეთ, მაგრამ რო-

შელსაც სოფელში მოიდეთ, იმ სოფელმა ძლვენი ღვინითა და კანილში შეძლებით საქსნილოთ და მარხვაში შეძლებით სამარხოთ. და ცხენის ქერისა ასე განვეიწესებია: პრიოლიტები ნახევარს ენკენისთვემდინ ქერს ძლვენად ვერ გამოვაროსმევთ, სტუმარს გარდა, და ნახევარ ენკენისთვემდამ მოიდებული გასულს მარტამდის ორის-სამის ლიტრით და ერთის ლიტრით ქერით ძლვენი მოგვაროვან შეძლებით, თუ ორი ლამე დავრჩეთ, კიდევ ამავ რიგით ძლვენი მორიგონ და მორიგის ჯარი, რომელიც გვახლდება, იმან თვეისის განწესებისაგრძელ გასძლოს. მაშინც ხომ იმას ერთის თვისა თან ახლდება, არც იქნება, ხომ არა ჰქონდეს.

(გ) ქ. რომელსამე კუთხეს, ან ჩეენ და ან რომლისამე ჩეენის შეილებისაგან მტრის მიზეზით მიშეველება მოვიყედს, რაერთითაც კაცით მიერშეველნეთ, მაშინ იმ ახლო მხხლო სოფლებმა, როგორც მართებულა, და შეძლება იყოს, რომელიც მაშინ მორიგე კაცნი იქნებიან, იმათს გარდა, ჩეენთვის და სხვას ჩეენის ჯარისათვის სურსათი უნდა მოვეცნ, კომლის კაცით მივალოთ, თუ ნაკლების კომლის კაცით.

(გ) ქ. როდესაც მორიგე კაცი მომსელელი იყოს, კინ იცის ასეთი აეთ დარი იყოს, ქარი და თოვლი დაუდგეს, და ან წყლების სიღილის დრო იყოს, რომ წყალმა დაიკიროს, იმას ვერის უსაყველურებთ, რომ დაღაზედ ვერ მოვიდეს, მაგრამ ხადაც გაუდედარდეს, იქავ ახლოს სოფელში უნდა მოიცალოს, და იმ სოფლის კაცნიც მოწამედ უნდა იყოლოის, რასაც დღეს მოსული იყოს იმ სოფელში. იქიდამ შინ ნულარ გამრუნდება, როდესაც რომ გზა ვერ დაუკიროს, ვერც ჰაერმა და ვერც წყალმა, მაშინვე ჩეენთან წამოიდეს. თუ იმ სოფელს ლეკი მოუყედეს და მდევრობაში დაესწრას, თავის სოფლის მოწმობით იმასაც ჩაუგდებთ.

(დ) ქ. რადგანც ქს განაჩენი ასე მტკაცედ დაგვიწერია და საქართველოში ჩეენ ყოველთა დიდთა და მცირეთა დაგვიწერიც ციცქა, რომ ამ საქმეზედ დამნაშავეთ უნდა გარდავდეს, ესეც დიდის გაფრთხილებისათვის გაგვიჩნია, რომ დაუნაშავებელი

კაცი არ წავდეს, თუ ზემო ქართლში ვიყოფოდეთ და ან არა-
ვეზედ, ან ფამბაკში, ან ყაზახში, და კახეთის მორიგე თავისს
ვადაზედ ქალაქს ჩამოვიდეს თავისის რიგის აღსრულებისათვის,
და რადგან ჩვენ ქალაქს არ დავხდებით, რომელსაც მეარეს ვი-
კნებით, იმ ქალაქიდამ მაშინვე წამოვიდეს ის მორიგე კაცი და
ამდენისაც დღის სავალია ჩვენამდე, იმას ჩვენ ჩაუგდებთ და
არას უსაყველურებთ.

ღა) ქ. ეგრეთვე ქართველთაც ასე უანგარიშებთ, კახე-
თა ვაჩოთ, ყაზახსა-პორჩალში, თუ ფამბაკში. ეგების¹⁾ ჩვენ
უფრო ჩარჯეს გზაზედ დაიბაროთ, ქალაქს ნულარ მოვა, რა-
საც გზაზედ დავიბაროთ მორიგე, იმ გზაზედ წამოვიდეს ყველ-
გნიღამ.

ღბ) ქ. თუ ერთს სოფელში ერთის მღუდლის მეტი არ
იყოს, იმისი წამოსელა არ იქნება. ბადალი დაიკიროს, ის გა-
მოგზავნოს. თუ ორი იყოს, თავ-თავეთს რიგზედ წამოვიდნენ.

ღგ) ქ. გუთისი დედისა რომ რომ დავვიწერია, რომ ბა-
დალი უნდა წამოვიდეს, როდესაც კვნის დრო არ არის, მაშინ
თვითან უნდა წამოვიდეს, ბადალს არ ვჯერვართ.

ღდ) ქ. არიან ყოვლად სამღუდელონი ეპისკოპოსნი, აზ-
კიმიანდრიტნი, წინამძღვარნი და მთის ყმის მოკელენი და თა-
ვადნი, და ეგრეთვე სახასოს სოფელების მოკელენი და მოუ-
რავნი, რომელნიც ამთებანნი შემძლებელნი არიან თავეთის
ყმისას და სახელოსას გამოყვანის ზოგისას და ზოგისას კი ვე-
რა, მაგრამ იმ ლაშქრობაზედ ის დამნაშავე კაცნი კელში რომ
ვერ ჩაიგდონ, იმისის სახლის კაცისას და მამულისას, და დე-
დულისას, და საქონლისას შემძლებელნი არიან, რომ კელში
მოვცენ. და არც იქნება რომ ორში ერთი არ მოვცენ, რო-
მლისაც რომ შემძლებელნი არიან მოცემისა, და არც რომე-
ლიც იმისს სოფელზედ და ან ერთს იმ დამნაშაოს კაცის დამ-
მალეელს კაცზედ დავილებოთ რამე გარდაცენებას²⁾, თუ ის კა-
ცი კელში ვერ ჩაიგდეთ.

¹⁾ III: ეგრეთვე

²⁾ M დ. III: ჩასე გარდამდევნებას

ღ) ქ. და რომელთაც ყოვლად სამლუდელოთა ეპიკომოსთა, ან არქიმანდრიტთა, წინამძღვართა და მთო მოკლეთ, და კიდევ თავადთ და აზნაურთ, და ეგრეთვე იმით მოკლეთ, და კიდევ ჩვენის სახასოს ყმათ, მოკლეთ, ყველას ვიცნობთ შემძლებელოთა ამ საქმეში, და ეგრეთვე შეუძლებელთაცა, რომელსაც იმ უარშიოს და დამალულის კაცის მოყვანა ძალით არ შეუძლიანთ, იმას არას უსაყველურებთ და ამ დამნაშაოს კაცის სოფელს, როგორც ჩეკით დაგვიწერია, ისე გარდავაედევინებთ, და ეგრეთვე კიდევ იმის დამმალველს კაცს, თუ ის კაცი არ მოვცენ ვადამდის.

ღ) ქ. და რომელსაც მებატონებს, სამლუდელოს, თუ საქროს და მოკლეთ და ეგრეთვე სოფელს, თუ ერთს კაცს, შეუძლიან იმ დამნაშაოს კაცის მოყვანა და არ მოიყვანა, იმ ზემოწერილის განჩინებისაებრ გარდაედება, იცოდენ.

ღ*) ქ. ვინ იცის სამისა და ოთხის დღის ავადყოფა განიარის ერთმა კაცში და მალე მორჩეს, და წამოსვლაც შეეძლოს, მორჩიმის შემდგომად კარგი მგზავრი იშოოს, და წამოვიდეს თავის-თავის რიგში, თვარემ ჩაც გარდასახდევინებელი დაგვიწერია, ნახევარი უსათუოდ გარდაედება და გარდაკდება, იცოდეს. აღიწერა განჩინება ესე თვესა იანვარსა პ, სირვეისა ტოისა განკორციელებითვან წელსა ჩდოდ, ქართულს ქვეს უდი.

მე ფეხი განჩანი
შე
ზემოქმედი
ას თავისი ას

შემოტელორ მამაკაშვილის მიერ გადმოწერილს პირს თავში ახლავს შემდევი ნუსა:

ამრიღში უნდა იერს მოარიგეთ ხევის გაიძორტვნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ოთარიშვილი ჩრდილელის ყმა ხულელიძე პაპაშვილი იქსე.

ქ. გაიბორტვნიდამ ოთარიშვილი ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური ბერიშვილი ხუტა.

მასში უნდა იქნას მორიგეოდ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ოთარისშვილი ჩრდილელის ყმა ელალ-ლიშვილი ხუცელიდე ივანე.

მოიბათვეში უნდა იქნას მორიგეოდ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური პაპისშვილი ხუტა.

მკათათვეში უნდა იქნას მორიგეოთ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე პაპისშვილი ზაზა.

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური პაპისშვილი გიორგი.

მარიამობისთვეში უნდა იქნას მორიგეოდ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე პაპისშვილი თავო.

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური პაპისშვილი თათარი.

ენერისთვეში უნდა იქნას მორიგეოდ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე პაპისშვილი ივანე.

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ჩაბაკაური ბერიშვილი გიორგი.

ღვინობისთვეში უნდა იქნას მორიგეოდ ხევის გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე ელალდის-შვილი ბერი.

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე გოჭაშვილი ბერი.

გორგობისთვეში უნდა იქნას მორიგეოდ გაბორტგნიდამ:

ქ. გაიბორტვნიდამ ჩრდილელის ყმა ხულელიდე პაპისშვილი პაპუა.

ქ. გაიბორცვნილამ ჩრდილელის ყმა ჩაბაყაური ბერიშვილი
თაღილე.

ქრისტიშობისთვეშა უნდა იყოს მორიგეოდ ჩრდილელის
კაბინიდამ:

ქ. გაიბორცვნილამ ჩრდილელის ყმა პაპიაშვილი ლურუმი.

აანგარშა უნდა იყოს მორიგეოდ ხევის გაბორცვნიდამ:

ქ. გაიბორცვნილამ ჩრდილელის ყმა ხულელიძე გოქიაშვილი
ლომი.

თებურგადშა უნდა იყოს მორიგეოდ ხევის გაბორცვნიდამ:

ქ. გაიბორცვნილამ ჩრდილელის ყმა მოჯამაგირე საფარა-
შვილი ნონია.

მარტშა უნდა იყოს მორიგეოდ ხევის გაბორცვნიდამ:

ქ. გაიბორცვნილამ ჩრდილელის ყმა პაპიაშვილი პაპუა.

192. წყალობის წიგნი, 40×16 სანტიმეტრი, ღაწერილია ჭაღალდე
ნისა მეურიულის ხელით. ნიშნებათ იმარტება ყოველი სიტყვის
შემდეგ თითო წერტილი. დედანი ამ სიცელისა დროებით გად-
მოგვეცა პეტრე უზისისთვისშვილმა.

1782, აპრილის 10. ქ. ჩეენ სრულიად საქართველოს მე-
ცემან ირაკლიმ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ აზნაურის კი-
ხისთვისშვილის ომანის შეიღების, ასე რომე ფშაველშე ამო-
წყვეტილის ამირაშვილის მამულიდამ ესე სიგრძის მიწა, დღეს
რომ შენ შეგა დგეხარ და შემოფარგველით გაქვს, შენის აშე-
ნებულის ბახჩით შენთვისევ გვიმოძებია ყოველის კაცის უცა-
ლებლად და დავე.... სიგრძის მიწის გარდა. სხვა ამასაშვილის
მამული რაც არის, ან სასხლიფი არის და ან სახნავი არის, სრუ-
ლად ციხისთვისშვილების შარმაზანისათვის და ოტავასთვის გვი-
ბოძებია, ორთვე შეა უნდა გაიყონ. დღეის იქით შენთან ამათ
ამ მამულში სადაო და სალაპარაკო არა ექნებათ-რა, ასე თავ-

თავისითვის გვიბოძებია. წისქვილზედ რომ სდაობთ, იმისი ცალკე
ოქმი გვიბოძებია კახეთის მოსამართლებზედა და თქვენს მო-
ურავშე, და რომ ისინი გაგისმართლებენ და განაჩენს მოყცემენ,
და ჩეენ კი დავამტკიცებთ, აპრილის 1, ქვე ჭია. ირაკლი.

193. სიგველი, 77X35 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალალზე.
წერია პირებილი გვერდისა რვეალი მხედრულია, ძლიერ მსხილი
ხელით ნაწერი, ხილი მეორე გვერდისა ნუსხა მხედრულია. ნი-
შვებათ იშვიათად იმპარება თითო წერტილი. დედანი ჩეენ შე-
კიძინეთ ბუკინისტრისაგან წერა-კითხეის სახოფალოებისათვის.

1782, პპრაღის 30. ქ. 1) წყალობითა ქოისათა ჩეენ
იყსიან, დავითიან, სოლომინიან, ბაგრატოვნიან, ყოვლისა ზე-
მისა საქართულოისა მეფის ირაკლის მეორის ძემან, არა-
გვას საკრისთოსა მაკრობელმან, პატრიონმან ვახტანგ, და ძმათა
ჩეენთა, შეფისა ძეთა, პატრიონმან მირიან, პატრიონმან ფარნაოზ,
ესე ეამთა და ხანთა გასათვევებელი მრკიცე და უცვალებელი
წიგნი და სიგველი შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩეენს ერთ-
გვლს ყმას, არაგველს აზნაურშეილს ჭილაშვილს ბაბანას, შეი-
ღუსა შენსა გმბრიკელს და ყოველთა სახლისა თქუცნისა მომა-
ვალთა, ასე და [ა]მა პირსა ზედა: როდესაც სანატრელმა ბატონ-
მა პაპა ჩეენმა მეფემ თემიურაშვილი და მათმა სიმშლეებმ ბატონმა
შემა ჩეენმა მეფემ პირაკლიმ ის ქვეყანა რომ დაიკირეს, შენ
დიდათ ერთგულად მსახურე, და კუალად (კუ) შემდგომთა ამა-
უმებთა შინა მისს სიმაღლეს ბატონს შემა ჩეენს იპრაკლის უმე-
ტესის გულ-მოდენებით მსახურე, და აფრევე რომლისამე მი-
ზეზისათუბის (sic) ბატონი დედოფალი, დედა ჩეენი, დუშეთის
რომ ბათნდებოდა, კარგათ და ერთგულად მსახურე, და მისისა
შემდგომად სანატრელს ჩეენს ძმას ბატონისშვილს ვახტანგს
და სანატრელს ჩეენს²⁾ ძმას ბატონიშვილს ლეონს რომ არა-
ვის საერთისო ეკირათ, იმათვისაც მრავალ გზის გემსახურა,

¹⁾ ეს ასო დადათ არის დაბატრელი შელინა და შემეულია გვალის თავებით.

²⁾ აქედან იწყება შეორე გვერდის ნუსხა-შეერტოლის წერა.

და იგრევე მისმა სიმალლემ ახლა რომ ჩვენ ვვიძოთ, ჩვენც
შენის შეძლებით ბატონ-ყვერის წესით ერთგულიდ ვემსახურე,
და ერთგულიდ შენი თავი განაცხადე, და ამთენის სამსახურის
სანუფქოდ ჩვენც ეს წყალობა ვიყავით: რაღვანაც ძველადვა-
ნაც იმ ქვეყნის მებატონების მილახერობა გეონოდა და რუსუ-
თადგმ მომავალის ვაჭრისა, და თუ იქედამ წამსვლელის ვაჭრი-
სა, და იგრევე ჩერქეზიდამ მოსულის ცხენების ბაეის აღება
ყოველთვის შენს ოჯახში სახელოდ ყოფილიყო, მაგრამ ემთა
ვითარებისაგან წიგნები კი აღარა გეონდა. სანატრელს ჩვენს
ძმას ბატონისშეიღლს ვახტანგსაც, და სანატრელს ჩვენს ძმას ბა-
ტონისშეიღლს ლეონსაც, მღვმებოდათ წიგნისა თდეს ბოძება,
მაგრამ აღარ დასცალებოდათ, მოხველ კარსა დარბაზისა ჩვე-
ნისასა და წიგნის ბოძებას ვვეჯენით, რაღვანაც შენც ჩვენ-
ზედ დიდათ ერთგულად ვასჯილი იყავ და ნამსახური, ჩვენც
ეისმინეთ თქვენი ველრება და მოსხენება, და ვიბოძეთ მილა-
ხერობა, რუსეთს მიმავალის და იქედამ მომავალის ვაჭრის ბა-
ეის აღება და იგრევე¹⁾ ჩერქეზიდამ მოსულის ცხენების მება-
ეობა. ესები (sic) ყველა შენთვის და შეილთა თქვენთათვის
ვვიძობდნა. ჩომელიც განწესებული ბაეგბი არის, მეგბის ყვე-
ლის სრულებით შენ უნდა იღებდე (აღებდე?), რაც შენი რი-
გი იყოს, მილახერობიდამაც ის სარგო უნდა იღო, და ამ²⁾
ზემოსხენიბულის ბაეგბიდამაც, და სხვა რაც ბაერ, ჩვენი წილი
დარჩებოდეს. ყველის წელიწადს ჩვენს მოხელებს უნდა მთ-
ბარებდე, ანგარიშს გასწმენდე, და მიბარების ბარათს ვამთ-
ართმეცდე, ამას გარდა სამღებროების ბაეთან შენ საქმე არა
გექნება-რა, მიტომ რომ რომელიც ჩვენის ბძანებით მღებარი
დაჯდება, ბაეს ის თიღებს, და ესეც იქნება, რომ ვინოუბა
არის, სამღებროებიც და რუსეთის გზის ბაეგბიც ერთმა კატა
იჯარით იღოს, და ჩვენ იმაში სარგო ვვეონდეს, ბაეგბი იმას
დარჩებოდეს იმ წელიწადებში, მაგრამ იმ განწესებულს ბაეს
ისევ შენ უნდა იღებდე, რაც შენი სარგო იქნებოდეს, შენ

¹⁾ აქ და სხვა ამვერ შემოხვევებში იციანში სწერია: დაგრევე.

²⁾ დარანში სწერია: და.

თილებდე და ჩვენს წილს, რომელიც იჯარადარი იქნებოდეს, ანგარიშით იმას მიაძარებდე. ასე ამ წესით გვიძოძებია, გქონდეს და გიძელნიეროს მამის ჩვენისა და ჩვენს სამსახურის შინა. არ მოგვშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთავან. იწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა მოხელენო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლოთ, როგორათაც წიკნითა მით სახელობი გვეძოძოს. წარიშერა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის ქაბულოვოს მდივნის ითანებითა, თევსა აპრილსა და, ქვეს უთა:

დავითის ტომა
თა სქესის რე
ზარ ირაკლი
შეფიც მირიან

1)
ვახტანგ

194. განჩინება ბარისა და მთიურითა აღვილთა ბატონიშვილის ვახტანგისა, **125X23** სანტიმეტრი, დაწერილია სქესს მტკაცუ ქალალზე მშენების ჩავალი მხედრულის ხელით. სათაურები, პირველი სტრიქონი განჩინებისა და პირველი სიტყვა თითოეულის მეტლისა დაწერილია წითელის მელნით, დანარჩენი შავის მელნით, ნიშნებათ იშმარებიან წერტილი, ლრთ წერტილი და იშვათათ შეიმცე.

1782, ოქტომბერის 14. განჩინება ბარისა და მთიურითა ადგილთა.

ქ. 2) ჩვენ საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძემან, სრულიად არაგვის საერთოსათვის მცყრობელმან, ვახტანგ სანატრელის ჩვენის ძმის ბატონიშვილის ლეონისავან მოებში დალებული განჩინება ხელმეორედ განვაახლეთ და რავდენნიმ ჩვენ მიერ განწესებულებიც თან ჩაურთევით. ყოველთა არა-

¹⁾ ხელის არცალი წარმერა აქა, მაგრამ სიტყვა ვახტანგის შეტე არ განიჩვევა გადახულობის გამო.

²⁾ ეს აქ დასტურია დიჭიათ შელნით. უკარანტე შემოვეული ჟეფა გვედი, რომელსაც თავი ჰერით აქვთ და პირდაღებულია, ისის თავზე ზოს ფრინველი, ფრინველს კლანტებზე უკერია ისარი. ფრინველი ქეცე არის უშევებს კლანტებს ისარი, რომელიც გვედს ჩახაზი უნდა ჩაერწოს. ბოლოც ქანისა გვედის თავის ხახით არის შემკრელი.

ვეის საერთოსთვის ბარში მყოფია კაცთა ასე გიბბანებთ: რომელიც ამას ქვეით დაიწერება, დღეის იქით ასე უნდა აღსრულდეს: ¹⁾

ა) ქ. ტონ ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოაკუდეს, იმ მკულის პატრიოტი თავის თავად ლაშქარის ნუ შეიყრის და მკულელს ნუ დალაშქრავს, და ნურც თვითან ეცდება იმისს სიკუდილსა, ჩვენს სამართალში მოვიდეს და სამართალი მიცემა. თუ ჯარით დალაშქრავს და ან სხვა რიგად მოინდომებს რასმე იმის გარდაცვევინებას, იმ მკულის სისხლსაც ჩაუტარებთ, და რომელიც კაცი იმას ლაშქრად მიჰყვება, იმასაც ჯარიმსა წავართმევთ, და უწევნოდ იმასთან საქმის გასარიგებლად ბჭებიც ნუ დაუსხდებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოვეცყრობით.

ბ) ქ. თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიუყანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ ეკლი უნდა აიღოს. თუ შეუტყვევით, რომ რომელსაც ქალი შინ მიუყანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარ-დაუწერელი ყოფილა, იმას ჩვენზედ შეცოდებასაეით მოვიყითხავთ, და ქალის პატრიოტი, რომელიც თავისს ქალს ჯვარ-დაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოვეცყრობით. ჯვარ-დაუწერელად ქალის შინ მიუყანა არ იქნება.

გ) ქ. თუ რომელიმე ქრისტ[ე]ანე კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოუკურდება, იმას ჩვენს მუნანთობასაეით მოვიყითხავთ და დიდადაც გარდავახდევინებთ, და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა კი მონათლოთ. მოუნათლაობა არ იქნება.

დ) ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძიხებს კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუნანთობასაეით მოვიყითხავთ. დღეის იქით დაძიხებით ქვრივის შერთვა ილარ იქნება არას კაცისაგან. რომლოსაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იყოს, ის უნდა შეირთოს.

ე) ქ. თუ ჩვენის ბძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის კაცი რომლისაც სოფლისა იყოს, იმ თავისმა სოფლის

¹⁾ ქ. შესავალი სხვა ტაქტუა ბეკრით ცურჩ სხვილი ხელით არის ნაწერი.

კაცმა და თავისმა მოკელემ უნდა დაიჭიროს და დატერილი ჩვენთან უნდა მოიყუანონ, თუ არ დაიჭირენ და დატერილს არ მოგვივრიან, რისაც გარდახდევინების ღირსი ის კაცი იქნება, იმის მაგიერად იმ სოფელსა და იმისს მოკელეს გარდახდევინებთ.

გ) ქ. თუ რომელიმე კაცი ჩვენის ბძანების წინააღმდეგი იმ თავისს სოფელში აღარ იყოს და სხვას სოფელში მივიდეს, ის თუ იმ სოფლის კაცთ და მოკელემ არ დაგვიჭირა, იმ კაცის მაგიერ იმათ გარდავახდევინებთ.

ჩვენ მიურ განსჯადა განჩინება: ¹⁾

ზ) ქ. რომელიც რომ ამ ქვეყნისათვის ეპისკოპოსად და-დგინდული წილკნელი ბძანდებო[დ]ეს და იმ ეპისკოპოსმა სუ-ლიერი კანონი გიბძანოსთ, და მართლის ქრისტენობის წესი და რიგი გამტნოსთ, და დაგარიგოსთ, და თქვენ იმაზედ არ დაგმორჩილენით, და ეს ჩვენ შეგიტყველით, ამას დიდად მოვი-კითხათ და ჩვენად შეცოდებად და მუხანათად გარდაგახდევინებთ.

თ) ქ. [დ]ეის იქით ტყუილად საჩივარი და ტყუილად წიადავება ვისიმე აღარ იქნება სამართალში გამტყუნებულისა-გან, და თუ რომელსამე სამართალში გაუვლიათ და იქ ერთი რამ ნაკლები სამართალი მისცემით, და სამუთები ექნება იმ თავისის საჩივარისა, მაშინ ჩვენ აღარ დაუშენით სამართალში მოსვლას, მაგრამ თუ ის სამუთები კეშმარიტი არ არის და ტყუილად წიედავება და სამართალში გაივლის, დიდად გარ-დავახდევინებთ.

თ) ქ. ტომ ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შეიღი, ან მა არ დარჩეს, იმისს მამულს ნურ-ვინ დაიჭირს, თუ უნდა გაყრილი მაც ჰყუანდეს, მარამდის ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ის მამული ისევ ბეითალმნად უნდა იდგას, მოკოლე მოფიდეს მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს.

¹⁾ ეს ხოთაური წითლერით არის დატერილი.

მ) ქ. ნურუავინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს. დღეის იქითთუ იყიდის ვინმე, იმ მამულზედაც კელს ავალებინებთ და თავისსა მამულსაც წავაროშევთ.

დ) ქ. ვინიკობა არის, თავისის სოფლიდამ მამულის მქონე კაცი მიყაროს და სხვას სოფელში დასახლდეს და იქიდამ მამულის გასყიდვა მოინდომოს, თუ ჩვენს უბძანებლივ იყიდის ვინმე, დიდად ავად მოვეპყრობით, და რასაც იმ მამულში ფასს გაიღებს, ერთს კიდევ იმდენს ჩვენ წავაროშევთ, და არც იმ მამულს ეასყიდვინებ.

ე) ქ. მსახური თავისს მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენი მსახური ვინც იქნება, იმას უნდა ჰქონდეს, და თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით: იმ მამულსაც წავაროშევთ და თავისს სამკვიდროს მამულზედ კელს ავალებინებთ, რადგან მსახური მამული, ვინც ჩვენნი მსახურნი იქნებიან, იმათვეის არის განწესებული, სხვათ არ მიეცება.

ვგ) ქ. თუ სახასოს კაცის მამულს აზნაურშეილი, თუ სხვა მოკერე ვინმე იყიდის ჩვენს შეუტყობლად, იმ აზნაურშეილს დიდად უწყება. თუ სკიდვის მოწადინე იქნება, მოვიდეს იმ აზნაურშეილმა, ჩვენ მოგვახსენოს, თუ მუნასიბი იქნება, ჩვენ გავსინჯავთ, და ჩვენის დასტურით იყიდოს ის მამული.

ღ) ქ. თუ სამართალში კაცი დავიბაროთ და ის კაცი ჩვენს იასაულს, რომლისაც სოფლისა იყოსა, არ გამოჰყეს, იმ სოფლის კაცთ დაგვიკირონ და მოგუგვირონ, და თუ იმ სოფლიდამ გაეპაროსთ სადმე, სადაც წავიდეს ჩვენს საბრძანებელში, ყველგან უნდა სღიონ და ეყალნენ იმისს კელში ჩაგდებას. თუ ამაზედ ბეჯითად არ გაისარჯნენ, დიდად გარდავახდეენებთ, და თუ სხვას სოფელში მიეიდა სადმე და სწორედ იმ სოფლის კაცთ არ დაგვიკირეს, ჩვენს მუხანათობასავით მოეკითხავთ.

ქ. მართალია ბევრი მოის განჩიანებაც უავვად, მაგრამ აქ ესენ სახმარია რომ უნდა იკავს:¹⁾ განჩიანება ბარასა.

ი) ქ. რომელიც რომ ფასის ყარაული არის განწესებული, ის ყარაული დრომდის სულ მოუკლებლად უნდა იყოს, და იმ ყარაულებს თავ-თავისი ფასის მძღველი სოფლები განწესებულს ფასს დაუკლებლად უნდა მისცემდენ ხოლმე, და თუ იმ ყარაულებმა ყარაულობის რიგს დააკლეს რამე, და ინ ბეჯითად არ მოიქცენ, დიდად გარდავახდევინებთ, და თუ იმ ფასის მძღველმა სოფლების განწესებულის ფასის მიცემა დააკლეს, იმათაც დიდად გარდავახდევინებთ.

იგ) ქ. ტონ ნუ ქნას, თუ ან ტყვე დაიკარგოს და ან საჭინელი, და ან ყაზახი განჩდეს ხადმე, იმაზედ დიდად ბეჯითად უნდა გაისარჯნენ მდევრობით, თუ გზის შეკურით, და იმის მდევრობაზედ յეკი არ უნდა დააკლდეს, თუ არ შეკლებელი და თუ იმისს მდევრობაზედ დააკლდება ვინმე და დიდად ბეჯითად არ მოიქცევიან, და არ გირჩებიან, და სადამდისაც მდევრობის ყავლი არის და დასრულდება, რომ იმს იქით აღარას გზით აღარ შეიძლებოდეს²⁾, იქამდის არა სდევვნ, და დევნას დააკლებენ, სწორედ ჩვენის მუხანათობის მსგავსად გარდავახდევინებთ.

იგ) ქ. რომელსაც სოფელში ტყვე დაიკარგოს, იმ სოფელში ყოველს თავისს მახლობელს სოფლებს უნდა შეატყობინოს, და მაშინვე მდევარი უნდა გამოუდგეს, რომელიც სოფელი იმისს მდევრობაზი დააკლდება, დიდად გარდავახდევინებთ, და იმ ტყუჩებსაც იმ სოფელს გარდავახდევინებთ, და თუ რომელისამე სოფლიდამ იმ მდევრობაზი კაცი დააკლდება, იმ კაცს ორი ზრობა გამოართონ და იმ მდევრის კაცო გაიყონ.

ქ. გ) ასრე ამ წესით უნდა მოიქცეთ. თვითონ ამისთანა წიგნი ყოველგან ჩვენს საბძანებელში ძევს და თქვენშიაც ამიტომ გამოვგზვნეთ ეს წიგნი, რომ მანდ უნდა იდვას, რომელიც კა-

¹⁾ ქ. წილილური სწორია დედამიში.

²⁾ დედამიში სწორია: შემიძლებოდეს.

³⁾ აქედან ხელ-მხლა მხვილა ხელი იწყება.

ცის დღეს იქთ ამ ზემო ბრძანების გარდახდება, იმ კაცმა ისე იცოდეს, როგორც კაცის მეულელს სიეულილით, მამულიდამ და თავის ალავიდამ აურით, აკლებით და დაკარგვით გარდა-ვახდევინებთ, ისე ამ ბრძანების წინააღმდეგომს. ალიშვირა თკ-დონბერს იდ, წელსა ჩდშპ, ქვეა უთ.

195. არა გორეოებისა და არახე მიწერილი განჩინება ირაკლი მეორისა, 33,5×12 სანტიმეტრი, დაწერილია ჭალალუშედ ნუს-ხა-მშერებულის ხელით. ნიშნებათ იბმარება ახალი სტრიქონების წინ ორ-ორი წერტილი და აქ-იქ მძიმე. ეს და ამას ქვემოდ მო-უვანილი ბრძანება ირაკლი მეორისა ჩვენ გადმოესწერეთ ნამდე-ლებიდან, რამდებაც „მამბის“ რედაქტის მოუკიდა პ. ილია კურნისავან. ნამდეილები პატრონის სურვილისამებრ გადაეცა „წერა-კიონების საზოგადოების წიგნთ-საცავს“.

1781, მაისის 13 და მეათეთვების 4. ქ. ტონ ბეჭნიერის კილომეტრის კირი მისცეს ერთობ გორეოებს!

ამას წინათ ამ საქმეშედ კიდევ არზა მოვართუებით, რომ ჩვენის საქონლის საძოვარი ფარადეთის ბოლოდამ დაკერილი რომ ჩვენ და ერთსოფიანთ საქვეყნო სამანიც გეიზის. იქიდამ გორის წისქეილებამდინ აღა პაპაშვილს პაპას უკირავს, ზოგს თითონა ხნავს და ზოგს სხრათ აზუნევინებს, და ღალის თითონ იღებს.

ტონ განაძლიერის თქვენი მეფობა. ემინობა შეიქნა, თქვე-ნის დოკუმენტით თოხ-კუთხი სოფელი აშენდა, და ზოგიც შენ-დება, და რაც თოხთები საქონელი გვყავს, აღარა კაცმა თავი-ანთ მამულში აღარ გვაძოებინა, და ჩვენის საქონლის საძოვა-რი ეს არის, მოგასხენებთ, ყოველი კაცი თოხ-ცეხის საქონ-ლითა უცხოვრებთ. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, მოცელი გრანი დიდი, თუ მცირე, ერთობლივ გეველრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვანებდეს, ამისი შოენა არის გორელის კა-ცისაგან არ იქნება, თოარემ იმდენი ტონ გამარჯვება მოვცესთ, რამდონს გორელს კაცს თვალი ეჭიროს, თუ გიცცემოდეს, და წლევანდელის ღალისაც ნება თქვენი აღსრულდეს. მოსს აგ,

ქვეს უმთ. მენტელაშვილმა ამ არზის პირი ენიხე და გარ[ლ]-
მოცსწერე, მაისის ქ^მ, ქვეს უმთ.¹⁾

მე ითანე ჰენტელაშვილმა ამ არზის პირი ენიხე და გარ[ლ]-
მოცსწერე, მაისის ქ^მ, ქვეს უმთ.¹⁾

თავში და განის აშიახე არზას აქვს წარწერა ირაკლი მეორის ხელით:
ქ. ჩვენი ბძანება არის, პაპა მწერალო! მერმე ამ არზით
გორელები რომ ისე ჩივიან, ეკ გამული თუ ძელთავან საენავი
ყოფილი და ან ბეითალმანი ყოფილი ვისიმე, ამას წინად რომ
შენ მოგეცით, შენივე იქნება და, თუ ძელთავან საენავი არა
ყოფილი და საქვეყნოთ საძოვრათ ჰენოდესთ და შენ ყალათათ
გავიშინჯებით და ისე გამოვირთმევია, ჩვენ იმ მამულს ვერ გვა-
ცემ და გორელებს ვერ გამოვირთმევით. ის მამული ისევ უნდა
დასუვა და ღალაკ ჩვენთვინ უნდა აიღონ. დიასამიძე მინგაშო
ითანე, ეს ასე გაარიგე. კათათვის და, ქვეს უმთ. არელა²⁾

196. ბძანების ოქმი მეღვე ირაკლი მეორისა, 43, X 16,5 სანტიმე-
ტრა, დაწერილია ლურჯ ჭაღალტევი ნუსა-მხედრულის ხელით.
ნიზებათ ისმარება თითო წერტილი.

1895, ავღანის 18. ქ. ჩვენი ბძანება არის, დიასამიძე
ბინგაშო ტეტია, აღათონიკე ამილახვერიშვილი, დიმიტრი მგა-
ლობელი, მიქელავ მამისახლისო, სულთანიშვილი მანუსარ,
ბაბალაშვილი ავთანდილ, თუთუნაშვილი დავითავ, ოვანჯა-
ნაშვილი ისაიავ, საკაშვილი ფარსადან, ზუბალაშვილი ითანე
და ერთობით გორელებო, მეტყიღრ[ე]ვ და ხიზანნო! მერე იმა-
ნისშვილი გოგია და ილექსისშვილი იაკობ რომ იასაულიდ ბა-
ტონს ჩემს შეიღს ფარსავაზს გამოუჩხაენია, ერთი ექვსს თუ-
მანსა გთხოვთ და მეორე სამს თუმანსა გთხოვთ. ეგენი არ-
ნივ დაიჭირეთ, ან რაც კაცი ახლდეს, თავიანთი თუ ვისიც

¹⁾ ეს პირი მოურომევით ეტყობა ირაკლიზა და ირაკლის ქვემომოყვანილი
განჩენება ამ პირზე წაუწერია.

²⁾ სტელა წარწერა ბეჭედისა იმეთი, ჩოგანი № 169-ია.

უნდა იყოს, ყველანი უნდა დაიკიროთ და ცხენი და იარაღი
თქვენთვის სულ სახალხოთ მომიტია, და შეგათ ყველის თავი
გაუტეხეთ, ოთხის ოთხისი ჯოხი დაპარი, ძალიანი ჯოხები,
და ასე ჰქმენით, თუ ქრისტეს მგმობელი არა ხართ და თქვე-
ნის საჩრწმუნოებისა, ამ ჩემს ბრძანებას ასე აღასრულება, თუ
ასე არ აღასრულეთ წმინდა საჩრწმუნოებაცა და რთაც გავი-
წყრესთ და დაწყეულიც იყვნეთ, და თუ ასე აღასრულეთ, რო-
გორც მომიწერია, რთამა თქვენ ყოველი სულიერი და კორ-
ციელი აეთ გაშოროსთ, და ყოველი სულიერი და კორციელი
საქმენი კეთილად წარგიმართოსთ, და ეგ მაგათი ნაცარცი ჰა-
ლალი ქმნას თქვენთვის; და მას იქითაც, თუ ჩემმა შეილებმა
და ან შეილის-შეილებმა შემოგაწერონ რამე ერთის შაურიდამ
ას თუმნაშლინა, ნურაფერს ნურას მისცემთ. თუ ძალა მოინ-
დომონ, კაცები კარგად დაუტყიპეთ, ისე გაუყარეთ, თუ თქვენ-
ზე იარაღი მოინდომონ და იხშარონ იმითმა კაცებმა, თქვენ
ერთისათვის ორი და სამი იარაღი იხშარეთ იმითზედა. გორე-
ლებო, დიდნო და მცირენო, სახასონო, ეკულესისა და ან სხვი-
სა გისმე ყმინო და ხიშანნო და დედაკაცებო, თქვენც ასე
ჰქმენით, ჯოხი და ქვაც იმისთანას იმითს გამოსხეულს იასუ-
ლებს ასე უყავით. გორელებო და ან სხვა ვინცა სწერია ამ
ჩემსა განაჩენსა და ოქმე, ყველამ ასე უნდა ჰქმნათ და კიდეც
ამაზედ ერთმანეროს შემფიცით, და რომელმაც არ დაიფიცონ
ჯეარზედა და სახარებაზე, პირველს კაცს სამი თუმანი წაერ-
თვის და მეორეს ორი თუმანი და შესამეს ერთი თუმანი, და
სათემოთ თქვენთვინ გამოიყენეთ და თქვენთვის დახარჯეთ.
ქართველის და სომხის ორთავე სამღვდელონო და ეკულესიაუ-
ბის შინა მოსამსახურენნო, მთავარ-ქაბისკოპოსის საყდრის გა-
რეთ ეზოში შეიყარენით, მართებულის პატივით სამღვდო სახა-
რება და ცხოველ-მყოფელი ჯეარი პატიოსნებით დასვენეთ,
ამ საქმეზე ასე დაიფიცოთ და ჩემი ერთგულებაც შეიგ ჩატა-
ნეთ, ასე უფრო გიჯობსთ, ივლისის ამ, ქვეს უბბ- გრძელება¹⁾

1) სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც ა. 169-სა.

197. განისაზღვრის წიგნი, 25, 5 X 11 სანტიმეტრი, დაწერილია ქადალდუ-
შე ნიშა მაკლონულის ხელით. ნიშნებად იჩმირება ყოველი სიტყვის
ჰელვეციუს თათო წერტილი. დედანი განისაზღვრისა დროებით ვადმო-
ვება პეტრე ციხისთვისშეიღება.

1801, აპრილის 29. ქ. ციხისთვისშეიღების იოსების ეხო-
ში ღორი გ[ა]ერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზანის მელორეს,
ამ იოსების შეიღებაში გამოერეკა, ამ შერმაზანის გაელახა ის ყმა-
წევილი. ეს იოსებ შინ არ ყოფილიყო. როდესაც მოსულიყო
და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა
დაეწყო, რათ მომიკელეს შეიღები. მასუან ის შერმაზან თავის
ვერახში ყოფილიყო, გადმომხტარიყო და მისულიყო იოსებთან
თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შეიღებაში გაქცეულიყო და მიხ-
ტომოდნენ და ორთვე მამა-შეიღებაში გაელახათ თავის კარზედ.
მოედა, იჩივლა იოსებში, ისიც მოვაკვანინეო და ვალიპარაკეთ
და ასე ყოფილიყო ამათი შეფოთი. შეკ ეს სამართლი მოვეც
საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მოელი
სისხლი გაუწინდა, მაგრამ ზოვი ლანძღვაში ჩაუტარეთ, ზოგი
სამართლის იპატა (sic) და თექვემდები თუმანი კი დაედო, რა-
დგან ანიაურშეიღები არიან, ეს თექვემდები თუმანი ორი წი-
ლი ვეჯი¹⁾ უნდა მისცეს და მესამედი თეორი შერმაზანშა ამ
იოსებს, აპრილის ჭი, ქვეს უმთ.

შეიცნობები
სეიშენ.

198. განწესებანა საქართველოს მეფის არაფლისნა ძებოა თუ-
თავში სამეფო მართვისათვის საქართველოს მართვისათვის. დედანი ამ განწე-
სებანისა ეკუთვნის წერტილების საბოვადოების ბიბლიოთეკის და
შემოწირულია იასონ ციცაშვილის მიერ № 1487. ზელ-ნაწერი,
34 X 22 სანტიმეტრი, შეკუავ 27 ფუტულს მოლურჯო ქადალ-
დისა. ნიშნებათ იჩმირება წერტილები, ორთორი წერტილები და
მძიმე. ქართული ტექსტის პირდაბირ, რომელიც გაერტყო ნება
შეედრულის ზელით არის ნაწერი, მოყვანილია რესული თარგმანი
მეტის ძის მირიანის მიერ ნამუშევრები.

ძრიკლ საეპერა, რომ ეს განწესება მართლა იჩაკლის შეირ-
იცოს დატოვებული, ამას ეჭირააღმდევება ფორმა წერტილისა, რო-
მელშიაც აქ იქ განვებ არის აღნიშნული ზოგიერთი ფრაზები ცა

¹⁾ ვეჯი — არის პორი, ქერი, სასოფადო მარცვლეულობა.

შენიშვნები, კითომც და ორაკლის მიერ ჩამატებულია. ნაწილი დედანი აღა-მამაც-ხანის დროს რომელ დაქარგულ-იყოს, როგორც აქ სწერია, რა უშელიდა ირაკლის შემდეგ ხელ-მეორედ დაეწერა განწესებაზე ან თუ ეს განწესება 1791 წელს საქვეყნოდ გამოიყენდა, რატომ მას არ იხსენიობენ სხვა სარწმუნო წყაროები? ან სად არის ნანდვილი მის მიერ შესწორებული, ხელ-მოწერილი და პეტედ დამტელი დედანი? რატომ არ არის ნაჩერები სად იმოვეს ან სად ინახებოდა ის შევი, რომლიდანაც ეს პირი გადმოიუწერიათ?

თვით შენაგანი განხილეთ წერილის აზრისა არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს წერილი ირაკლის უკუთხოდეს. ირაკლი აქ წინასწარ-მეტყველად არის გამოიყენილი. ირაკლი ისე ცხადათ იმას ვერ დანარჩავდა წინ-და-წინ, რაც მის სიკვდილის შემდეგ მოხარ. რა სურეილები და მოთხოვნილებანი დაეძალებოდნ მის შეიღებს, სანამ მიიყვანდა მათ განმეოქილება, ამავების წინ-და-წინვე თქმა შეუძლებელი იყო. ამიტომაც ეს წერილი, ჩვენის აზრით, მე-XIX საუკუნის დასწყისში უნდა იყოს შედგენილი რამოდენობების შეიღების დროის შეიღების შეთანხმებით და წარმოვევილების ცხად სურათს იმისას, თუ რათ ებრძოლენ ერთო-ერთმანეთს ირაკლის შეიღები, რას იმთხოვდნ თავიანთ დასაქმეოფილებლათ მართვებულობისაგან, როგორი ტახტის მემკვიდრეობა სურათ დაეკრის სებინათ და საზოგადოთ როგორი წესი და რიგი დააქმაყოფილებდა მათ. ამ მხრით ეს განწესება დროს დამსტურათებული წერილია და ჩვენის ისტორიისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ არის.

მე-XIX საუკუნის დასაწყისი. — „განწესებანი საქართველოს მეფის არა და მეფის არა და მეფის არა თავია თავია და მეფის არა თავია სამეფო სახაობისათვის“.

ბართ განწესებათა.

განწესებანი საქართველოს მეფისა ოჯახისათვის და ქვეყნისა ამის დაფებული საუკუნოდ ნეტარ სახსოვარისა საქართველოს მეფის ირაკლი შეორისაგან, რომელნიცა ბრძანებითადევ მისითა გამოცხადდა სახალხოთ ქართულისა ქვეს უთო, რომ იქნება საკულტურისათა აღრიცხვითა წევა წელი, და დაბეჭდიდა იგი საქართველოსა შინა მყოფთა ჩინებულთა სამღებელოთა და სერიოთაგან და შენახულ იყო სამეცნისა პალატა

შინა ქალაქისა ტფილისს, ხოლო დროსა აღთ-მაშად-ხანისაგან ქალაქისა ამის დაჭუცვისასა სარწმუნო არს, რომელ განწესებაცა იყო მუნ დაკარგულ იყოს, რამეთუ მიერ უძიდეს აღარ-სად იხილვება, გარნა აწ ეპიფეთ სარწმუნო პირი მისი, რომელ-საც შინა მრავალსა აღიაგსა თვით ზემო ხსენებულის სანატრე-ლის მეფის ეკლიტაც არს ჩაწერილი, რომელნიცა თითო თი-თოდ მუნ დაინიშვნიან ესრედ: საცა ჯვარი ისხდეს, იქ დაი-წყება სანატრელის მეფის ეკლი და, საცა ნოლი ისხდეს, იქ კი დასრულდება. ხოლო პირი ეს თვით იმ სარწმუნოს პირისა-გან გარდმოიწერა და რუსულიდ ითარგმნა, რომელნიცა ნი-შენენ ამის ქვემთ.

ა) სახელითა ერთ-არსისა და სამგდამოენისა წთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ვსწერ მე მეორე ინაკული პან-კრატოვანი, აქ ცხებულისა მეფისა თემიურაზ მეორისა და დე-დოფლის თამარისა, და ემპარობ სიმეურესა ყოვლის მარტო-ობით და უმანკოებით, რათა არა საჭირო საქმე რამე, ანუ სი-ბრუნვილე იმოებოდეს ამაში, არამედ მინდობითა ყოვლიდ წმი-დისა სულისათა ექიმებ, რათა სიმართლით გამოვაცხადო, კე-შმარიჩის ძალის მქონებლობით აღესწერო ჩემთვის და შეიღოთა ჩემთათვის და შეიღოშეიღოთათვის, და კუალადცა შეიღოთა მათ-თოთვის და კიდევ შეთასრულოთა შეთოთვისცა, და ეგრეთვე შემ-დგომთა შეთოთვის და რტოთა მათთა, და ქვეყანისა ჩემისა და მას შინა მყოფთა სამღვდელოთა და თავადთა, და აზნაურთა, და ყოველთა, რომელნიცა დღეს კელა ჩენენთა შინა არიან და ანუ წამომართ წთით იქნებიან + რაც საქმეში წილი ამაში ჩემის ჩამომავლობის არის, ისიც გარჩევით დამიწერია და ან, რაც ჩვეუნისა იყო, ისიც გარჩევით დამიწერია 0.

ბ) აწ სჯულად უდებ სახლისა ჩემსა და შოთასრულოთა ჩემ-თა ნათესათმითთა გვარეულობასა და საქართველოსა ქართველ-თა და კახთა, და სამღვდელოთა, და საერთოთა, ბრწვინვალე-თა თავადთა, აზნაურთა და ეგრეთვე მოხელეთა, კეთილშო-ბილთა და სხვათა მოხელეთა სოფლისათა, და სხვათა ერთა მოქალაქეთა, და სხვათა ბარისა და მთასა ილაგებთა შინა მყო-